# ნაკადული

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
140
2005



# საქართველოს მომავალი



თბილისის
51-ე საშუალო სკოლა,
I კლასი,
ხელმძღვანელი
**მანანა ჩიტიაშვილი**



თბილისის
51-ე საშუალო სკოლა,
I კლასი,
ხელმძღვანელი
**ცისანა მიქაძე**



თბილისის
22-ე საშუალო სკოლა,
II კლასი,
ხელმძღვანელი
**ზეინაბ საქაგლიშვილი**



თბილისის
22-ე საშუალო სკოლა,
I კლასი,
ხელმძღვანელი
**ციცინო ცირეკიძე**

ოლეგ გველესიანის ფოტოები

# ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი
2005 წ. №8

ჩვენი ჟურნალი 1904 წელს სასიქადულო მამულიშვილთა მესვეურობით დაარსებული პირველი ქართული საყმაწვილო ჟურნალის ნაფუძარზეა ამოზრდილი. მოგვიანებით მას სახელი შეეცვალა და „პიონერი" ეწოდა, 1990 წლიდან კი იგი კვლავ თავისი პირვანდელი სახელით გამოდის.

## ნომრის შინაარსი

არ მინდა მერქვას დევნილი — 3
ვინც აწმყოს კეთილსინდისიერად ემსახურება, იგი დიდებულ მომავალს ქმნის (საუბარი თბილისის 22-ე საშუალო სკოლის დირექტორთან) — 5
„ოდოიშხერი" — 8, 24
როგორი იქნება საქართველო და როგორი ვიქნები მე 10 წლის შემდეგ — 9
სულ აღმაფრენას გისურვებთ! — 10
მსოფლიო კიდით კიდემდე — 12
რომის კოლიზეუმი — 16
სკვაირის საცოლე (ინგლისური ხალხური ზღაპარი) — 20
რამდენად ერთგული ხარ? (ტესტი) — 22
ვინ იყო ნოსტრადამუსი — 26
რა არის ბანკი და ვინ არის ბანკირი — 28
სიცილის გაკვეთილი — 31

გარეკანის მხატვრობა ედუარდ ამბოკაძის

რედაქტორი
მანანა გელაშვილი

მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ. 14
ტელეფონები: 93-31-81; 93-18-84.
ინდექსი: 0108
ფასი 1 ლარი
რეგისტრირებულია მთაწმინდის სასამართლოში

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი"



## სკოლების კომპიუტერიზაცია გრძელდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კომპიუტერული პროექტ „ირმის ნახტომის" ფარგლებში სადღეისოდ კომპიუტერებით ქვეყნის სულ 170 სკოლაა – 103 თბილისის, 67 სხვადასხვა რაიონის – აღჭურვილი. ტენდერში გამარჯვებულმა ფირმა „აუტამ" სკოლებში 1037 კომპიუტერი შეიტანა. აღნიშნული სკოლების დირექტორებმა და მასწავლებლებმა უკვე გაიარეს სპეციალური ტრენინგი. „ირმის ნახტომის" მეორე ეტაპზე საქართველოს სკოლები კიდევ 640 კომპიუტერით აღიჭურვება.

## „მართვეს" წარმატება გერმანიაში

უდიდესი წარმატება ხვდა წილად გერმანიაში ჩატარებულ ფოლკლორულ ფესტივალზე ვაჟთა ფოლკლორულ ანსამბლ „მართვეს". მას შემდეგ რაც ფესტივალის ორგანიზატორებმა ქართველ მომღერლებს რეპეტიციაზე მოუსმინეს, ფესტივალის გახსნის პატივიც სწორედ მათ არგუნეს. ფესტივალის დამთავრების შემდეგ კი ჩვენი ანსამბლი, ერთადერთი 25 ქვეყნის წარმომადგენელთა შორის, ქალაქის მერის მიერ გამართულ ბანკეტზე მიიწვიეს.

## გაუფრთხილდით ხალხურ საუნჯეს

გაზეთ „რაეოს" რედაქციისა და დედაქალაქის ბიბლიოთეკების გაერთიანების თაოსნობით ნინო ნაკაშიძის სახელობის №16 საბავშვო ბიბლიოთეკაში ჩატარდა კონკურსი „არ დაიკარგება", რომელსაც უნდა გამოევლინა, თუ რამდენად კარგად იცნობენ ბავშვები ჩვენს ეროვნულ ფოლკლორს. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს თბილისის ცხრავე საბავშვო ბიბლიოთეკამ და აგრეთვე მოზრდილთა წიგნის სახლების საბავშვო განყოფილებებმა. კონკურსის ორგანიზატორების გასახარად, მისმა პატარა მონაწილეებმა ფოლკლორის ჩინებული ცოდნა და სიყვარული გამოამჟღავნეს. სხვადასხვა ასაკის ბავშვებმა წაიკითხეს ქართული ხალხური პოეზიის საუკეთესო ნიმუშები, შეასრულეს ხალხური სიმღერები, ცეკვები, შაირები. კონკურსის ჩატარების იდეა ეკუთვნის გაზეთ „რაეოს" აწ განსვენებულ რედაქტორს ბატონ ბონდო გაგნიძეს, რომლის ჩანაფიქრის თანახმად, „არ დაიკარგება" ტრადიციული გახდება და რეგულარულად გაიმართება.

## კოტე მახარაძის მემორიალი

თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ კ. მახარაძის მემორიალურ ტურნირში ნორჩ ფეხბურთელთა 48 გუნდმა მიიღო მონაწილეობა. საკუთარი გუნდის ღირსებას თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, თელავის, ზუგდიდის 600-მდე სპორტსმენი იცავდა. ფინალში ერთმანეთის პირისპირ თბილისის „დინამო" და ზუგდიდის გუნდი წარდგნენ. შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ 2:2 დამთავრდა, პენალტების სერიაში კი თბილისელმა ფეხბურთელებმა იმარჯვეს – 3:1 და ტურნირის მთავარი პრიზიც დაისაკუთრეს. მესამე ადგილი წილად ხვდა კიდევ ერთ თბილისურ გუნდს „მთვარის გლობუსი".

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საყვარელი ჩემი და შენი, მაშასადამე — ჩვენი



ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში მომხდარმა კონფლიქტებმა 350 ათასზე მეტი ადამიანი აიძულა დაეტოვებინა საკუთარი სახლი ან ქვეყნის სხვა ნაწილში გადასულიყო საცხოვრებლად, ანდა საერთოდ დაეტოვებინა ქვეყანა. ბევრ მათგანს თქვენ პირადად იცნობთ და იცით, რომ ამ მშრალი ფაქტის უკან ყოველი ამ ადამიანის ტრაგედია დგას. ადამიანური თვალსაზრისით, ამ უბედურებასთან შედარებით მცირე მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა პოლიტიკური მიზეზებით დაიწყო ესა თუ ის კონფლიქტი და რა ეთნიკური სარჩული დაედო მას საფუძვლად. ეს ადამიანები ხომ ერთნაირად უბედურები არიან და ყველა მათგანს ერჩივნა, რომ ეს საშინელებები არ მომხდარიყო... მე დევნილ ბავშვებზე ვსაუბრობ...

დევნილად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული შეიქნა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადა-

# არ მინდა დევნილი მერქვას

ადგილებულიყო (საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში), იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მას, ან მისი ოჯახის წევრების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტების, ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო.

1991 წელს დაიწყო ომი აფხაზეთსა და საქართველოს შორის. აფხაზეთს სუვერენიტეტი სურდა, საქართველოს მთლიანობის შენარჩუნება, რა სურდათ ბავშვებს? სურდათ თუ არა მათ ომის შედეგად დაობლებულიყვნენ, მოკვდომოდათ მამა, ბიძა, ბაბუა, დედა... ამ დროს თვით ბავშვების სიცოცხლესაც ხომ დიდი საფრთხე ემუქრებოდა. ბევრჯერ მომისმენია ჩემი თანატოლების ბუნდოვანი მოგონებები აფხაზეთზე. სიცივეში, შიმშილში გატარებული დღეები სვანეთის გზაზე. მათ ხომ ამხელა ტანჯვა გადაიტანეს, აქ ჩამოსულებს კი უამრავი პრობლემა ექმნებათ. ბავშვთა უფლებების კონვენციის 27-ე მუხლის თანახმად ყველა ბავშვს აქვს უფლება უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი თუ სოციალური განვითარებისათვის. სახელმწიფო თავის მხრივ ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი პირობები ამ პასუხისმგებლობის რეალიზაციისათვის.

ყოველ ბავშვს აქვს სიცოცხლის ხელშეუხებელი უფლება და სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნება და ჯანსაღი განვითარება, – ეს კონვენციის მე-6 მუხლია, რომელიც ბავშვის ყველაზე მთავარ უფლებად მიმაჩნია. 1992 წელს მრავალჯერ დაირღვა ეს უფლება, სვანეთის გზაზე უამრავი ბავშვი გამოესალმა სიცოცხლეს. თავისი ცხოვრების ყველაზე ყინულიან გზაზე 9 თვის გიორგი ყურაშვილი ხელში გაეყინათ მშობლებს, დედამ მკვდარი გიორგი ხუთი დღე ხელით ატარა. ნუთუ ეს არ არის ყველაზე მწარე დანაშაული პატარა, უმწეო ბავშვის მიმართ?



სახელმწიფოს ვალდებულებებში შედის ასევე ბავშვის განათლებაზე ზრუნვა. საქართველოს განათლების სისტემა იმ მცირერიცხოვან სექტორთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც სამოქალაქო ომებისა და სოციალური მღელვარების პერიოდში განადგურებას გადაურჩა. ბავშვს აქვს უფლება მიიღოს განათლება, სახელმწიფომ უნდა დააწესოს უფასო და სავალდებულო დაწყებითი განათლება, ხელი შეუწყოს როგორც ზოგადი, ისე პროფესიული საშუალო განათლების სხვადასხვა ფორმების განვითარებას, მიიღოს ზომები სკოლებში რეგულარული დასწრების ხელშესაწყობად.

ბევრ დევნილ ბავშვს აქვს პრობლემები განათლებასთან დაკავშირებით, რადგან მათ არა აქვთ სკოლაში სიარულის საშუალება, თუნდაც ელემენტარულად, მათი დახეული ტანსაცმლის გამო. არიან ბავშვები, რომლებიც მთელი დღეების განმავლობაში მუშაობენ და დროც კი არ აქვთ სკოლისთვის. ისინი დადიან ბაზრობებზე, ჰყიდიან გაზეთებს, ასანთს, მათხოვრობენ, ნაგავსაყრელებზე ბოთლებსა და ლითონებს აგროვებენ იმისათვის, რომ იარსებონ. ამით ირღვევა კონვენციის 32-ე მუხლი, კერძოდ, ბავშვს უფლება აქვს დაცული იყოს ისეთი სამუშაოს შესრუ-

23692



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებისაგან, რომელიც შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს მისი ჯანმრთელობისათვის, ხელს უშლიდეს ბავშვს განათლების მიღებაში, საერთოდ, განვითარებაში.

მე ჩავატარე სოციოლოგიური გამოკითხვა 14-17 წლის დევნილ ბავშვებში. სულ გამოვიკითხე ოთხმოცი მათგანი, კითხვაზე – თუ როგორი პირობები აქვთ განვითარებისათვის, ასე მიპასუხეს:




უფრო კარგად რომ გამეგო დევნილი ბავშვების პრობლემები, პირადად გავესაუბრე რამდენიმე მათგანს: 17 წლის ქეთინოს, რომელმაც დედასთან და ორ დასთან ერთად გამოიარა სვანეთის გზა, 13 წლის შოთას, რომელსაც მშობლები ომში დაეღუპნენ, ბაბუა კი დევნილობის პერიოდში გარდაეცვალა. 14 წლის გიორგის და 7 წლის ლუკას, რომელსაც არც კი უნახავს აფხაზეთი, მხარე, რომლის გამოც მას დაბადებიდან დევნილი ჰქვია.

**–რომელია დღეისათვის თქვენთვის ყველაზე აქტუალური პრობლემა?**

**ქეთი:** ახლა ჩემთვის ყველაზე დიდი პრობლემა განათლების პრობლემაა, წელს ვაბარებ. ძალიან კარგი იქნება, თუკი მოვიპოვებ სახელმწიფო გრანტს, თორემ თუ არასაბიუჯეტო განყოფილებაზე მოვხვდი, ჩემი მშობლები სწავლის ფულის გადახდას ვერ შეძლებენ და მე უმაღლესი განათლების გარეშე დავრჩები.

**შოთა:** მე ჩემი კლასელებისაგან მოშორებით ვცხოვრობ. ბებომ წელს სახელმძღვანელოები ვერ მიყიდა, ამიტომ წიგნებს ვთხოულობ ხოლმე და მათ მოსატანად დიდი მანძილის გავლა მიწევს.

**–რა ოცნებები გაქვთ?**

**ქეთი:** მინდა აფხაზეთში დაბრუნება, ძალიან მენატრება ჩემი სახლი, ჩემი კერა, მენატრებიან ჩემი ბავშვობის აფხაზი მეგობრები.

**შოთა:** ჩემი ოცნებაა სამხედრო კარიერის შექმნა და აფხაზეთის დაბრუნება.

**გიორგი:** მსურს მივიღო კარგი განათლება, ჩემი განათლება მოვახმარო საქართველოს აყვავებას.

**ლუკა:** ხშირად მესმის ჩემი მშობლებისაგან როგორ ნატრობენ აფხაზეთში დაბრუნებას, ჩემი ოცნებაც აფხაზეთია.

**–როგორი ურთიერთობა გაქვთ ადგილობრივ ბავშვებთან?**

**გიორგი:** სულ ვჩხუბობთ, ჩვენ მათთვის ყოველთვის „დევნილები“ ვიქნებით. ისინი სულ ასე მოგვმართავენ.

**ქეთი:** პატარა რომ ვიყავი, მეც ხშირად ვჩხუბობდი მათთან, ახლა რამდენიმე მათგანს დავუმეგობრდი კიდეც.

**–რაში ხედავთ გამოსავალს, რომ არ გქონდეთ კონფლიქტური სიტუაციები ადგილობრივ ბავშვებთან?**

**ქეთი:** მე ვფიქრობ, უნდა შეიქმნას ერთობლივი პროექტი: დევნილი და ადგილობრივი ბავშვების სკოლა ერთ შენობაში, მაგრამ სხვადასხვა ცვლაშია, ადგილობრივი ბავშვები I ცვლაში სწავლობენ, დევნილები კი – II-ში, ამიტომ ბავშვებმა საერთო ენა ვერ გამონახეს. ისინი ვერ მეგობრობენ და მათი შეხვედრის დროს მხოლოდ კონფლიქტური სიტუაციები იქმნება.

ჩემი იდეაა, შემუშავდეს პროექტი, ადგილობრივი და დევნილი ბავშვები ერთად წაიყვანონ ექსკურსიებზე, ლაშქრობებზე, თეატრში. გამართონ ერთობლივი კონცერტები, ლიტერატურული საღამოები. ამის შემდეგ ბავშვები ერთმანეთს დაუმეგობრდებიან.

**–რას ნიშნავს თქვენთვის სიტყვა „დევნილი“?**

**გიორგი:** მე ვარ დევნილი, მაშასადამე, მე დავკარგე ჩემი კუთხე, სახლი, ეზო-კარი. აქ კი ზოგმა სახელიც კი დამიკარგა.

„დევნილს“ ვინც დამიძახებს, მას საქართველო არ უყვარს, ჩვენ არ ვებრალებით, თორემ რა საჭიროა ეს საზიზღარი დამღა? რატომ უნდა შემახსენოს ვინმემ, დევნილი რომ ვარ?

ხშირად მარტო ვარ, თანატოლებისაგან მოშორებით, ვცდილობ თვალში არავის „შევეჩხირო“, ჩემკენ თითი არ გამოიშვირონ, – აი, ეს ბიჭი დევნილიაო. როგორ მეზიზღება ეს სიტყვა!

**შოთა:** მე ვარ ქართველი და ვარ დევნილი, მაშასადამე, მე ვარ ჩაგრული ქართველი. მე აფხაზეთში დავიბადე, ახლა კი წყნეთში ვცხოვრობ. დედა და მამა ომში დამეღუპნენ. აქ ბებო მზრდის. ალბათ, ღმერთმა ბებია იმიტომ აჩუქა ბავშვებს, რომ ჩემისთანები გაზარდოს. მახსოვს, პატარა რომ ვიყავი ბაბუ მეუბნებოდა: – შენ, შენს სამშობლოს უნდა გამოადგე, ჩვენს მიწას მოუარო და ენგურს იქით მშვიდობით იაროო. მაშინ არც კი ვიცოდი, რას ნიშნავდა სიტყვა „მშვიდობა“, ახლა კი ვიცი, ჩვენს კუთხეში მშვიდობა რომ ყოფილიყო, მე ახლა არც დევნილი ვიქნებოდი და არც ლტოლვილი.

**ქეთი:** „დევნილი?“ – ამას რომ გავიფიქრებ, სულ სადღაც გაქცევის სურვილი მიჩნდება, თითქოს ვიღაცას ვემალები. როცა დევნილს დამიძახებენ, ყველაფერი მახსენდება, რაც სოხუმში გადავიტანე. მახსენდება სვანეთის გზა, შიმშილი, სიცივე... ნეტავ რა საჭიროა ეს საშინელი დამღა„დევნილი“?! ჩვენ „დროებით გადაადგილებული პირები“ გვქვია. ნეტავ ეს „დროებითობა“ უსასრულოდ არ გაგრძელდეს!

**ფიქრია ჯღარკავა,** წყნეთის **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა სკოლის XI კლასის მოსწავლე (იბეჭდება შემოკლებით. სრული სახით ამ ნაშრომმა მოსწავლეთა 59-ე სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე I ხარისხის დიპლომი დაიმსახურა).**



### ჩვენი სტუმარია თბილისის დ. უზნაძის სახელობის 22-ე საავტორო სკოლა

### გვესაუბრება სკოლის დირექტორი ქალბატონი გულიკო ხორბალაძე



# ვინც აწმყოს კეთილსინდისიერად ემსახურება, იგი დიდებულ მომავალს ქმნის

**–ქალბატონო გულიკო, თქვენ პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ბრძანდებით, წლების განმავლობაში მუშაობდით ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, არ გაგიჭირდათ იქაური მშვიდი, გაწონასწორებული გარემოდან სკოლის სიცოცხლით, დინამიკითა და იმავდროულად უამრავი პრობლემით აღსავსე სამყაროში გადმონაცვლება?**

–მინდა გითხრათ, რომ მე საკუთარი სურვილით გადმოვედი სკოლაში, გაჭირვებით კი ნამდვილად არ გამჭირვებია თუნდაც იმიტომ, რომ ზოგადად სასკოლო ცხოვრებას არასოდეს მოვწყვეტივარ, გარდა ამისა, თეორიულ-მეცნიერული ცოდნაც საკმარისი მქონდა. რაც მთავარია, მე აქ საოცრად კეთილმოსურნე კოლექტივი დამხვდა. მოგეხსენებათ, ნებისმიერი ხელმძღვანელის წარმატებული საქმიანობა ბევრად არის დამოკიდებული იმ გუნდზე, რომელსაც ის უძღვება, მე ამ მხრივ ნამდვილად გამიმართლა – სკოლაში მოსვლის პირველი დღიდანვე ვიგრძენი პედკოლექტივის თანადგომა და პატივისცემა. მხარში დგომასა და ურთიერთგაგებაზეა აგებული მთელი ჩვენი მუშაობა დღესაც. ყველა ჩვენი წარმატების, მიღწევის, გამარჯვების თანაავტორი სკოლის თითოეული მასწავლებელია, მათ გარეშე მე ვერაფერს გავხდებოდი. ნებისმიერ საქმეში საიმედო საყრდენად მეგულებიან ჩემი მოადგილეები ლაურა გაბისონია, ნესტან კუპრავა, მარინე თითბერიძე, ციცინო მჟავანაძე.

**–მგონი, თქვენი სკოლა ერთადერთია, რომელიც დიდი ქართველი ფსიქოლოგის სახელს ატარებს? მაინცდამაინც უზნაძის სახელი რატომ შეირჩა და რა ნიშნები გამოარჩევს მისი სახელობის სკოლას? რა დევს მისი კონცეფციის საფუძველში?**

–თბილისის 22-ე საშუალო სკოლას დიმიტრი უზნაძის სახელი და საავტორო სტატუსი 1999 წლიდან მიენიჭა საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ. სკოლის საავტორო კონცეფცია ეფუძნება დიმიტრი უზნაძის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ ნააზრევს აქტიური პიროვნების ჩამოყალიბების შესახებ. შეიძლება, ყველამ არც იცის, რომ 1915-1916 წლებში თბილისში დაარსდა ქალთა გიმნაზია „სინათლე", რომელსაც დიმიტრი უზნაძე ხელმძღვანელობდა. უნდა გითხრათ, რომ ამ სასწავლო დაწესებულების მიზანი და პრინციპი ერთგვარად ეხმიანება დღეს ჩვენი განათლების სისტემის წინაშე მდგომ ამოცანებს. მე მხოლოდ რამდენიმე პრინციპს დაგისახელებთ: აქტიური ხასიათის და ძლიერი ნებისყოფის აღზრდა, პასუხისმგებლობის განვითარება ბავშვებისთვის ინიციატივის მინდობის გზით (თვითმმართველობა), სწორი ღირებულებათა სისტემის შემუშავება, დამოუკიდებელი შრომა, ესთეტიკური აღზრდა... „სინათლის" პედაგოგიურ თეორიაზე დაყრდნობით და თანამედროვე სკოლის ამოცანა-პრობლემატიკის გათვალისწინებით, მე და ჩემმა თანამოაზრეებმა შევიმუშავეთ ორი ძირითადი საავტორო კომპონენტი – მოსწავლეთა თვითმმართველობა და ინტენსიური ფსიქოლოგიური სამსახური სკოლაში და ჩვენი მუშაობის წარმმართველად ვაქციეთ ისინი. ჩვენი სკოლის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება გახდა სწავლის ხარისხის ამაღლება და აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფა. ჩვენ დავივიწყეთ სტერეოტიპური პრინციპი „მოისმინე, გაიმეორე – დაიმახსოვრე", რომელზეც გაკვეთილები იყო აგებული, და თამამად დავნერგეთ ახალი პრინციპი: „მოისმინე – გააცნობიერე – გადაწყვეტილება მიიღე – იმოქმედე"; დავამკვიდრეთ მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთთანამშრომლობის ატმოსფერო.

**–თუ შეიძლება, ყოველივე ამის კონკრეტულ გამოხატულებაზე გვესაუბრეთ.**

–სკოლაში მუშაობს მოსწავლეთა პარლამენტი თავისი მუდმივმოქმედი კომისიებით, მოსწავლეთა კოდექსით, საარჩევნო პროცედურებით, რადიოკვანძითა და მოსწავლეთა გაზეთით „ლიბერტა". უფროსკლასელები დიდი სიამოვნებით და მონადინებით საქმიანობენ პარლამენტის განათლების და კულტურის, მოსწავლეთა უფლებების დაცვის, სპორტისა და ტურიზმის გარემოს დაცვისა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტებში. მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანომ სულ მალე დაატყო თავისი ხელი სკოლის ცხოვრებას – მისი ინიციატივითა და ძალისხმევით მზადდება და ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, ისტორიულ-ლიტერატურული სასამართლოები, თეატრალიზებული წარმოდგენები, შემოქმედებითი საღამოები, შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტელექტუალური დონის ამაღლებას, მათი ნიჭის და უნარ-შესაძლებლობების გამოვლენა-განვითარებას, სულიერ და ფიზიკურ გაჯანსაღებას, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას.

სკოლაში დამკვიდრებულია ცოდნის შემოწმების ისეთი ფორმები, როგორიცაა დიფერენციალური ჩათვლები, ტესტირებები, კონკურსები, ვიქტორინები,

ინტელექტუალური თამაშები, ცოდნის აუქციონები, საერთოდ ჩვენთან გაბედულად ინერგება საგანმანათლებლო რეფორმით გათვალისწინებული პედაგოგიურ-მეთოდური ინოვაციები, ხორცს ისხამს მოსწავლეებისგან თუ მასწავლებლებისგან წამოსული საინტერესო ინიციატივები. ერთი ასეთი ინიციატივა ახალი ნიუანსებით გახალისებულ-გამდიდრებულ ზეიმად გადავაქციეთ. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ჩვენს სკოლაში სასწავლო წლის განმავლობაში მიღწეულ – გაკეთებულის დაჯამება-წარმოდგენის დღედ ვაქციეთ. თუნდაც წლევანდელი პირველი ივნისი ავიღოთ – გამომცემლობა „დიოგენესთან“ ერთად სკოლაში მოეწყო გამოფენა-კონკურსები, გაიმართა მინი-სპექტაკლები, პოდიუმი, მასობრივი ხატვა, დისკოთეკა, „წიგნის მაღაზიის დათვალიერება“, შეხვედრა ახალგაზრდა მწერლებთან, ნამცხვრების გამოფენა-გაყიდვა... სკოლაში მოქმედებს დებატკლუბი, რომელშიც ძირითადად უფროსკლასელები არიან გაერთიანებულები, დებატებისთვის თემებს და საკითხებს ყმაწვილები თვითონ ირჩევენ და ამიტომაც კამათი ყოველთვის ძალიან საინტერესოდ, მწვავედ მიმდინარეობს ხოლმე, ჩვენ კი ვხარობთ, როცა ვხედავთ, როგორ აზროვნებენ დამოუკიდებლად ბავშვები, როგორ ეჩვევიან საკუთარი პოზიციის დაცვას, თავისი სიმართლის დამტკიცებას, სხვათა აზრის მოსმენას და პატივისცემას.

–უზნაძისეულ სკოლა „სინათლესთან“ დაკავშირებით თქვენ აღნიშნეთ, რომ ამ სასწავლებლის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი აქტიური ხასიათისა და ძლიერი ნებისყოფის აღზრდა იყო. რა უნდა ვიგულისხმოთ ამ პრინციპის ამოსავალ წერტილად და რამდენად მისაღებად მიგაჩნიათ იგი ჩვენი დღევანდელობისათვის?

–უზნაძის კონცეფციით ამ სკოლის მიზანი იყო მტკიცე ნებისყოფის, აქტიური ადამიანის აღზრდა. „აქტიური ხასიათი, ძლიერი ნება – აი, რა აკლია ქართველობას და ჩვენი აღზრდის სისტემაც აქეთკენ უნდა იყოს მიმართული. ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ გლეხები და მონები მიტომ კი არ ვართ, რომ ღატაკნი ვართ, არამედ ღატაკნი მიტომ ვართ, რომ გლეხები და მონები ვართ. საკუთარ საქმეს გამბედაობა და ინიციატივა ესაჭიროება და ჩვენს ხალხს სწორედ ეს აკლია. უამისობაა რომ ჩვენ სხვის საწველ ფურად გვაქცევს და საკუთარ დოვლათს სხვების საკეთილდღეოდ გვადენინებს“ – ამბობდა დიდი ფსიქოლოგი. ხედავთ, იგი ხაზს უსვამს, საკუთარ საქმეს გამბედაობა და ინიციატივა ესაჭიროებაო, დამეთანხმებით, დღეს ამ ორ თვისებას არნახული ასპარეზი მიეცა, გაბედულ და ინიციატივიან ადამიანებს არა მარტო საკუთარი კეთილდღეობის უზრუნველყოფა ძალუძთ, არამედ ქვეყნის პროგრესისაც. ამიტომაც მიგვაჩნია მე და ჩემს კოლეგებს სკოლაში, რომ ყველაფერთან ერთად ბავშვებს ამ უნარების გამომუშავებაშიც უნდა დავეხმაროთ. საერთოდ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ სხვადასხვა თაობის თანამოაზრე პედაგოგთა ერთ მუშტად შეკრული ჩვენი კოლექტივი იქითკენ არის მიდრეკილი, რომ ადრევე ფუძეჩაყრილი ტრადიციების რაციონალური მარცვლის შენარჩუნებით და ახალი გზებისა და მეთოდების ძიება-დანერგვის ნიშნით წარმართოს მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი. ამიტომაც გავდივართ სხვადასხვა სახის ტრენინგებს, ამიტომაც ვართ ყველა სიახლის კურსში, მოდუნების, გარდაქმნათა გზიდან გადახვევის უფლებას არც ერთი ჩვენგანი არ აძლევს საკუთარ თავს და ბედნიერად ვგრძნობთ თავს, როდესაც ვხედავთ, რომ ეს ჩვენი სულისკვეთება მოსწავლეებზე აისახება. ბავშვებს ამ უნარების გამომუშავებაშიც უნდა დვეხმაროთ და ყოველივე ამის სულისჩამდგმელები სკოლის ახალგაზრდა ფსიქოლოგები ქალბატონები თინა ცერცვაძე და ნინო ოქროსაშვილი არიან.



–თუმცა თქვენი სკოლის შენობას ახალი არ ეთქმის, მაგრამ მოვლილ-მოწესრიგებული რომ არის, ეს აქ შემოსვლისთანავე გეცემათ თვალში. მაგალითად, ჩვენ რომ შემოვედით, დავინახეთ, რომ იქვე მყუდრო კუთხეში გოგონა ფუნჯით ხელში გულმოდგინედ ღებავდა მერხის ზედაპირს, სხვები კი ეხმარებოდნენ.

–პირველი ზარი ამ შენობაში 1949 წლის სექტემბერში დარეკილა, მას შემდეგ ნახევარსაუკუნეზე მეტი გავიდა და თუმცა სკოლა მტკიცედ, კეთილსინდისიერად არის ნაგები, დრომ და აქ აღზრდილმა თაობებმა მაინც დაატყვეს კვალი, ამიტომაც სკოლაში მოსვლის პირველი დღიდანვე დავიწყე ზრუნვა ინტერიერის, საკლასო ოთახების, კაბინეტების კეთილმოსაწყობად, გარემონტდა სკოლის ფასადი, სველი წერტილები, სახურავი და რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ბავშვებში დავნერგეთ მშობლიური სკოლის, საკუთარი საკლასო ოთახის, სასკოლო ინვენტარის გაფრთხილების შეგნება. სკოლაში შრომითი სახელოსნო გვაქვს, სადაც ბავშვები ამზადებენ მარტივ სასკოლო ინვენტარს, არემონტებენ წყობიდან გამოსულ სკამს თუ მერხს, ისე, ჩვენი ხელმარჯვეები საყოფაცხოვრებო ხასიათის ნივთებსაც აკეთებენ, მოსწავლეებს შორის ჩვენი მლესავებიც გვყავს, მღებავებიც, კალატოზებიც, მებათქაშეებიც, ამ კუთხით ძალიან გვეხმარებიან ჩვენი მამაკაცი მასწავლებლები, რომლებიც ბავშვებთან ერთად ზრუნავენ სკოლის გალამაზებაზე, დერეფნებში გამოფენილი თვალსაჩინოებები, სტენდები, გამოფენები სწორედ მათი ერთობლივი ნახელავია. ამ საქმიანობის მთავარი არსი კი ის არის, რომ ბავშვები საკუთარი ხელით გაკეთებულს უფრო უფრთხილდებიან, უვლიან...

ასე ილვწის დღევანდელი მოთხოვნების გათვალისწინებით და ხვალინდელ დღეზე ფიქრით სიახლეთა ძიება-დანერგვაზე ორიენტირებული თბილისის 22-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, რომლის თითოეული წევრის პრიორიტეტად კვლავაც რჩება განათლებული, საქვეყნო საქმისთვის თავდადებული მამულიშვილების, ზნესრული, დამოუკიდებლად მოაზროვნე, აღმშენებლობისთვის შემართული ახალგაზრდების აღზრდა და ეჭვი არ არის, რომ მათი აღზრდილები თავის წვლილს შეიტანენ საქართველოს უკეთესი მომავლის შენებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნესტან მასწავლებელი და მისი შემოქმედება

## ქართულ ანბანს

აბიბინდა ვერცხლის ყანა,
აელვარდა გიშრის ხნული,
ასოების ხვეულები,
ერთმანეთზე გადაწნული.
მშვენიერი „ანი“, „ბანი“,:
ტანწერწეტა „ვინი“, „ზენი“ –
ქართულ ენის ასულები,
მშობლიური ენის ძენი.
სულზე ტკბილი ანბანისა
ტანჩუქურთმა ასოები,
წიგნში კოხტად ჩაქარგულებს
გულში ვიკრავ სასოებით.
ინ-კან-ლას-მან-ნარ-ონ-პარ-ჟან...
მინარნარებს, მილივლივებს,
გიშრის ხნულში ვერცხლის თესლი
ქართულ სიტყვას გაალვივებს.
კეკლუცს, კოხტას, პირმშვენიერს,
ხმატკბილ ჰანგზე ამღერებულს,
ქართულ ანბანს ვენაცვალე,
გიშრის ხნულზე აღერებულს!
ქვეყნის განძს და ერის ნებას
ფრთხილად ვკადრებ ანბანთქებას,
ხარობს, ჰყვავის, ძლიერდება,
განა დნება, განა ჭკნება.
მოკვდავს ღმერთი გეგონება,
თვალსაწიერს ეტოლება
მშობლიური „ანი“, „ბანი“,
სულზე ტკბილი „ვინი“, „თანი“...



ქალბატონი ნესტან კუპრავა თბილისის დ. უზნაძის სახელობის 22-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი და იმავდროულად დირექტორის მოადგილე გახლავთ სასწავლო-აღმზრდელობით დარგში. ნესტან მასწავლებლის მოსწავლეებმა იციან, რომ იგი საბავშვო ლექსებს, მოთხრობებს და ზღაპრებს წერს და ამიტომაც კიდევ უფრო მეტად უყვართ იგი. ალბათ ბევრ თქვენს თანატოლს ნესტან მასწავლებლის მოსწავლეების მსგავსად წაკითხული აქვს მისი ნაწარმოებები, ბევრს კი დღეს ჩვენ დავეხმარებით გაიცნოს მისი შემოქმედების რამდენიმე მშვენიერი ნიმუში. დარწმუნებული ვართ, მოგეწონებათ თქვენდამი სიყვარულით აღსავსე ეს წკრიალა, კეთილი, ხალისიანი ლექსი და მოთხრობა. აქვე გვინდა გითხრათ, რომ წელს გამომცემლობა „დიოგენემ“ გამოსცა ნესტან კუპრავას მორიგი წიგნი „ჯადოსნური სიტყვები“, უფრო ადრე კი გამოიცა მისი „დიდი აურზაური“, „ცისარტყელა“, „ყველაზე ძვირფასი“.

## ვისია?

–ვინ დამეხმარება კაკლისა და თხილის დარჩევაში? – ღიმილით ჰკითხა ბებიამ საშემოდგომო არდადეგებზე ქალაქიდან ჩამოსულ შვილიშვილებს.

ბავშვები გაისუსნენ, მათ ეზოში სირბილი უნდოდათ.

–მე დაგეხმარები, ბებო! – შესძახა გიორგიმ და ბებოს გვერდით, პატარა სკამზე დასკუპდა.

ბებიამ და შვილიშვილმა ბევრზე ბევრი კაკალი და თხილი დაამტვრიეს. კაკლის ლებნები და თხილის გულები ცალკე მოაგროვეს, ნაჭუჭები – ცალკე.

დიდხანს მუშაობდნენ, მაგრამ პატარა ბიჭი სულაც არ დაღლილა. უხაროდა, ბებიას რომ ეხმარებოდა.

კაკლის ლებნები და თხილის გულები მზეზე კარგად გამოშრა.

–ვინ დამეხმარება ნიგვზისა და თხილის ძაფზე აცმაში? – მხიარულად გადასძახა ბებიამ ბავშვებს.

გიორგი ბებიასკენ ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა:

–მე დაგეხმარები, ბებო, მე!

ბებიამ და შვილიშვილმა კაკლის ლებნები და თხილის გულები მაგარ ძაფზე მძივებივით აასხეს...

რთველი დამთავრდა. ყურძენი დაიკრიფა. ბავშვები ვენახში ვაზების მწკრივებს შორის დაჰქროდნენ – შემორჩენილი ყურძნის ტკბილი მარცვლებით პირს იტკბარუნებდნენ.

–ვინ დამეხმარები თათარის მოდუღებაში? – ისევ ჰკითხა ბებიამ.

ბავშვებს ისევ სირბილი და თამაში უნდოდათ.

–მე დაგეხმარები, ბებო! – შესძახა დაუზარელმა პატარა გიორგიმ.

დაეხმარა კიდეც. ბებიას ყურძნის ტკბილი წვენით სავსე ქვაბი ზედადგარზე შემოადგმევინა, ცეცხლს შეშა შეუკეთა.

ბებიამ ყურძნის წვენში ფქვილი შეურია. თათარა ადუღდა, გასქელდა.

მერე თათარაში ნიგვზისა და თხილის მძივები ამოავლო, გიორგიმ კი გვერდებგასქელებული ჩურჩხელები ხარიხაზე დაჰკიდა.

–ჩურჩხელები! ჩურჩხელები! – შესძახეს ბავშვებმა და თათრიან ქვაბთან შეჯგუფდნენ. ბებიას და გიორგის თვალს არ აშორებდნენ.

გიორგიმ ლამაზ-ლამაზი, სქელ-სქელი ჩურჩხელები წყვილ-წყვილად დაჰკიდა ხარიხაზე.

–ვისია ჩურჩხელები? – გაიცინა ბებომ.

–ჩვენია, ჩვენი! – ერთხმად შესძახეს ბავშვებმა. გიორგი წყნარად იდგა და ნიავისგან აცეკვებულ ჩურჩხელებს ღიმილით შესცქეროდა.

–ჩურჩხელები გიოსია, – თქვა ბებომ, – კაკლისა და თხილის დარჩევაში ვინ მეხმარებოდა? – გიორგი. თათარის მოდუღებაში? – გიორგი. ხარიხაზე ვინ დაჰკიდა ჩურჩხელები? – ისევ და ისევ გიორგიმ. თქვენ კი თამაშის გარდა არაფერი გახსოვდათ. დაგავიწყდათ განა?

ბავშვებს შერცხვათ. იდგნენ თავჩაქინდრულები და ბებიას თვალს ვერ უსწორებდნენ.

ხანმოკლე არდადეგები დამთავრდა. ბავშვები ისევ ქალაქში წაიყვანეს. ბებიამ მათ უამრავი ლოყაწითელა ვაშლი, ღაჟღაჟა ბროწეულები, სურნელოვანი კომშები და კიდევ ათასნაირი სასუსნავი გაატანა. შემოდგომა ხომ უხვია, ბარაქიანი?

ჩურჩხელები? ჩურჩხელები ჯერაც სოფელში არიან – ბებიასთან. ისინი მზეზე კარგად უნდა გამოშრნენ, გათეთრდნენ, დაიშაქრონ...

მერე ბებია საყვარელ შვილიშვილებს ქალაქში ესტუმრება. სოფლის ნობათს კვლავ მიართმევს. ჩურჩხელებს თავის პატარა შვილიშვილს – გიორგის მოუკითხავს.

საიდუმლოდ ერთსაც გეტყვით: ბებია და პატარა ბიჭი იმ ჩურჩხელებს, რა თქმა უნდა, სხვა ბავშვებსაც გაუნაწილებენ. გიორგი ხომ არა მარტო დაუზარელი, არამედ ძალიან გულკეთილი, მოსიყვარულე ბიჭუნაცაა?

ო, როგორ გაუხარდებათ ბავშვებს უგემრიელესი საჩუქარი! ამავე დროს რაღაცაზე ჩაფიქრდებიან კიდეც...

გავა დრო. შემოდგომა ისევ დადგება. რთველი ისევ იქნება. თქვენ როგორ ფიქრობთ, ბებიას ყველა შვილიშვილი დაეხმარება, თუ მარტო პატარა გიორგი?

ძალიან, ძალიან მაინტერესებს გავიგო, თქვენ თუ ეხმარებით საყვარელ ბებიებს და ბაბუებს, დედიკოებს და მამიკოებს საშემოდგომო შრომა-საქმიანობაში?



## ჩემთან ერთად მიდის ყველა, ჩემთან ერთად მოდის ყველა

გამოანათებს ცა,
გამოანათებს მზე,
ჩემთან ერთად წავა ქარიც,
ჩემთან ერთად მოვა წვიმაც.
რა ლამაზი წვიმა მოდის,
რა ლამაზი ქედებია,
ჩემი გული, ჩემი თვალი,
ჩემი სევდა, ჩემთან არის.

**ანა გაზდელიანი,**
**8 წლის, II კლასი. „ახალი სკოლა“**

## ზაფხულის წვიმაში

ერთხელ სოფელში მე და ჩემი მეგობრები პურზე მივდიოდით. მშვენიერი დარი იყო. ჩვენ მივსეირნობდით, თამაშ-თამაშით მივდიოდით, სასაცილო ამბებს ვყვებოდით. სახლიდან თონემდე დიდი გზა იყო. გასწრობანაც ვითამაშეთ, ჩქარა რომ წამოვსულიყავით. შემდეგ სკამზე დავისვენეთ და ისევ გავაგრძელეთ გზა



და როგორც იქნა, მივედით. ცხელ-ცხელი პურები ავიღეთ, ხელებს გვწვავდა. აღმოჩნდა, რომ არ გვქონდა წამოღებული პარკები. ყველა პური გიორგის დავაჭერინეთ და წამოვედით. ამ დროს წვიმამ მოგვისწრო. მზიანი დღე იყო და ასე უცბად რამ შეცვალა ამინდი? – ვფიქრობდით ჩვენ. თან წვიმდა და თან მზე ანათებდა. როგორც იტყვიან, მზე პირს იბანდა, ჟუჟუნა წვიმა მოდიოდა, მერე უფრო და უფრო დასცხო. არსად იყო თავის შესაფარებელი ადგილი. პურები გვისველდებოდა. ყველა „ჟუჟუნა წვიმას“ ვმღეროდით. ზაფხულის წვიმაში ძალიან კარგი იყო.

**ანა აჯარიაშვილი,**
**თბილისის გ. რამიშვილის სახ. მე-6 გერმანული გიმნაზია, IV კლასი.**

---

*თეონა ძიძარია ხობის რაიონის სოფელ ხეთის საშუალო სკოლის მერვე კლასის ფრიადოსანი მოსწავლეა. ცოდნას მოწყურებული ნიჭიერი გოგონა ბევრს მუშაობს საკუთარ თავზე, ბეჯითობს, კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას, თავისუფალ დროს სიამოვნებით ფორტეპიანოზე უკრავს საყვარელ ნაწარმოებებს. თეონა კალამსაც ცდის, მისი ნაწერები ხშირად ქვეყნდება ადგილობრივ გაზეთში.*

## ლაშქრობა ჯვეგეთაში

ძალიან გამიხარდა, როდესაც მთელმა ჩვენმა კლასმა ჯეგეთაში ლაშქრობა გადაწყვიტა. ჯეგეთასკენ მიმავლებმა ჯერ კორცხი გავიარეთ, „კორცხი“ მეგრულად ჯამს ნიშნავს. აქ იღებს სათავეს მდინარე დარჩაღელე და ჩვენ საშუალება გვქონდა გვენახა, როგორ იკრებს გზადაგზა ძალას წვეთ-წვეთად მოწანწკარე წყალი და როგორ იქცევა მდინარედ. ჯეგეთამდე საკმაოდ დაღლილებმა მივაღწიეთ, მაგრამ იმ სილამაზემ, რაც იქ ვიხილეთ, ყველანაირი დაღლილობა დაგვავიწყა. გაგვაოცა უზარმაზარმა მშვენიერმა კავკასიურმა ფიჭვმა და საერთოდ ბუნებამ და იმავდროულად გული გვატკინა ადამიანის უგუნურობამ – იმ ადგილზე, რომელიც ჩვენ უნდა დაგველაშქრა, უმოწყალოდ იყო გაჩეხილი ტყე, ვიღაცას ჯეგეთის კალთებზე ძვირფასი მცენარეები გაუჩანაგებია.

ჯეგეთის წმინდა გიორგის ეკლესია ლევან II დადიანის ბრძანებით აუშენებია 1615 წელს მალაქია გურიელს, ამის შესახებ იქვე ლოდზე ამოკვეთილი წარწერაც იუწყება. ეკლესიის დათვალიერების შემდეგ სუფრაც გავშალეთ და ბევრიც ვიმხიარულეთ. მერე ვითამაშეთ, ვიხალისეთ, კონცერტიც ჩავატარეთ და ძალიან კმაყოფილებმა გეზი შინისაკენ ავიღეთ, დასაბრუნებლად სხვა გზა ავირჩიეთ. მცირე მანძილი რომ გავიარეთ, ვნახეთ ყოფილი სამთავრობო აგარაკი, რომელიც ადრე მშვენივრად მოვლილ-მოწყობილი ყოფილა, ახლა კი ყველაფერი გაპარტახებულია, მე-2 და მე-3 სართულზე აფხაზეთიდან დევნილები ცხოვრობენ, ქვედა სართული კი ბოსლად არის ქცეული, თითქმის დამშრალ აუზში ბაყაყები ყიყინებენ. გავემართეთ ტბა პაპანწყვირისკენ. ალბათ ყველას გაგიჩნდებათ კითხვა, რატომ ჰქვია ამ



ტბას პაპანწყვირი? ამ ადგილას ყოფილა ერთი ქოხი, რომელშიც ცხოვრობდა პაპა. მან მიწის დასამუშავებლად მეზობლები მოიხმარა, მერე კი მოსამსახურეს უბრძანა ძაღლი მოეკლა და მისი ხორცით გამასპინძლებოდა მეზობლებს, მისთვის კი ქათამი დაეკლა. მოსამსახურე ასეც მოიქცა. მეზობლები ვერაფერს მიხვდნენ და ძაღლის ხორცი შეჭამეს. მათი წასვლის შემდეგ პაპა ქოხში შევიდა, მაგრამ უცბად ქოხი წყალში ჩაიძირა და პაპაც თან ჩაიტანა. ამ ტბას პაპანწყვირი ეწოდა(ჩაძირული მღვდელი) გეოგრაფიის მასწავლებელმა აგვიხსნა, რომ ლეგენდა მიგვანიშნებს, რომ ეს ტბა დედამიწის ზედაპირის ჩაძირვის შედეგად გაჩნდა ე.ი. ტექტონიკურია.

ლაშქრობიდან ყველანი ძალიან კმაყოფილები დავბრუნდით.

# როგორი იქნება საქართველო და როგორი ვიქნები მე 10 წლის შემდეგ

**სალომე ლურსმანაშვილი, 11 წლის:**

ათი წლის შემდეგ საქართველო წინ წასვლის ნაცვლად ძველს დაუბრუნდება. იქნება უფრო სუფთა და ისეთი ძლიერი, როგორიც ადრე იყო. მე ავყვები ხალხს, ვიქნები ისეთი, როგორიც სხვები.

**ეკა ამირანაშვილი, 11 წლის:**

10 წლის შემდეგ ყველაფერი იმაზე ცუდად იქნება, ვიდრე არის, საქართველო იქნება ძალიან მწირი. არა მგონია, რომ ახლანდელმა თაობამ რაიმე სიკეთე მოუტანოს ქვეყანას. მე ვიქნები ისეთი, როგორიც ვარ.

**ოთარ თევზაძე, 11 წლის:**

საქართველო იქნება უფრო ლამაზი, 10 წლის შემდეგ გზები გაკეთდება, ხალხი აღარ იმათხოვრებს, აღარ იქნება გაჭირვება და უმუშევრობა. მე გავხდები ეკონომისტი და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩემი ქვეყანა იყოს ლამაზი და განვითარებული.




**ირაკლი მჭედლიშვილი, 11 წლის:**

10 წლის შემდეგ საქართველო იქნება უფრო დასუფთავებული, უფრო გაძლიერებული და უფრო კარგი, ვიდრე ახლაა.

მე ძალიან მინდა გავხდე კარატისტი და გავაკეთო რაც შეიძლება ბევრი რამ ჩემი ქვეყნისათვის.

**ლიკა ფხაკაძე, 14 წლის:**

ჩემი აზრით, 10 წლის შემდეგ საქართველო გაბრწყინდება, ქვეყანა აყვავდება და აღორძინდება, საზღვარგარეთ წასული ემიგრანტები სამშობლოში დაბრუნდებიან. ჩვენი ქვეყანა იქნება უფრო მშვენიერი და მასში იცხოვრებს უფრო ბედნიერი ხალხი.

მე ვიქნები უფრო ხალისიანი და კმაყოფილი ჩემი ქვეყნის აღმასვლით.

**ანა თევდორაძე, 12 წლის:**

ყველაფერი შეიცვლება უკეთესობისკენ. ძალიან მომწონს სეირნობა და როგორც ამბობენ, აღმაშენებელზე აღარ იმოძრავებენ მანქანები, ხალხს შეეძლება თავისუფლად სეირნობა.

მე გავხდები ჩოგბურთელი და საქვეყნოდ გავუთქვამ სახელს საქართველოს.

**თორნიკე მახარაშვილი, 12 წლის:**

10 წლის შემდეგ საქართველო იქნება აღორძინებული, გალამაზებული და უფრო მოწესრიგებული. იქნება მეტი სისუფთავე. ხალხი ისწავლის კანონების პატივისცემას. გვეყოლება უფრო პატიოსანი მოხელეები და ქვეყანა დაადგება განვითარების გზას.

10 წლის შემდეგ მე ვიქნები ჯარში. გავაკეთებ ყველაფერს, რომ მხარში დავუდგე ჩემს ქვეყანას.

**ნანიკო ვარსაძე, 13 წლის:**

ყველაფერი წავა უარესობისკენ, 10 წლის შემდეგ საქართველოს კონფლიქტი ექნება ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან. 40 წლის ზემოთ ხალხს სამუშაო აღარ ექნება. 26 წლის მინისტრები ქვეყანას მიიყვანენ კატასტროფამდე.

მე დავრჩები საქართველოში, ვიცხოვრებ, ვიმუშავებ და ოჯახს შევქმნი ჩემს ქვეყანაში.

**თეკლა იოზაშვილი, 15 წლის:**

ცოტა ძნელია ამის წარმოდგენა, მაგრამ ვიმედოვნებ, ყველაფერი უკეთესად იქნება. ჯერჯერობით არაფერი შეცვლილა, წვრილმანების გარდა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ საქართველო გაბრწყინდება!

მე ვიქნები ფილოლოგი და ქართველებს ვასწავლი სამშობლოს სიყვარულს, ამით დავეხმარები ადამიანებს იყვნენ პატრიოტები.

მოამზადა **ანა მახარაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი მილოცვა იუბილარს

# ახალ წარმატებას გისურვებთ!

კულტურის ცენტრ „პატარა ვირტუოზებთან“ არსებულ ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „ორბი“ ათი წელი შეუსრულდა. ათი წელია ანსამბლის წევრები გია დავითაშვილის ხელმძღვანელობით ცეკვის ენაზე უამბობენ მაყურებელს თავისი ქვეყნის ისტორიაზე, კულტურაზე, ტრადიციებზე, ზნე-ჩვეულებებზე, თავისი ხალხის მეომარ სულზე, სტუმართმოყვარეობასა და გულითადობაზე. ამ მართლაცდა ვირტუოზი მოცეკვავეების წყალობით ბოლო ოთხი წლის მანძილზე მსოფლიოს 21 ქვეყანაში გაეცვნენ ქართულ ხალხურ ცეკვებს, „ორბმა“ ტრიუმფით მოიარა რუსეთი, თურქეთი, საბერძნეთი, კვიპროსი, ესპანეთი, ვენესუელა, კოსტარიკა, პანამა, სალვადორი, ჰონდურასი, პერუ, ნიკარაგუა, გვატემალა, არგენტინა, მექსიკა, კოლუმბია, ეკვადორი, ბრაზილია, ურუგვაი, ჩილე. 318 კონცერტი გამართა ანსამბლმა ამ ქვეყნებში, ყველა მათგანმა სრული ანშლაგით ჩაიარა, პატარა მოცეკვავეების ხელოვნებით აღტაცებული მაყურებელი ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს და ხმამაღალი შეძახილებით ითხოვდა ამა თუ იმ ნომრის გამეორებას და ისინიც დაღლილები, მაგრამ ბედნიერები იმეორებდნენ და ასე უსასრულოდ. ასე იყო ამჯერადაც, ესპანეთის ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში გასტროლების ჩარჩოებში პერუს დედაქალაქ ლიმაში გამართულ კონცერტებზეც, მაგრამ იქ საერთო სიხარული და ბედნიერება „ორბის“ ყოველი წევრის დიდი სულიერი ტკივილით დაიბინდა – იმ დღეს 1600-იან მაყურებელთა დარბაზში გამართულ პირველ კონცერტზე სცენაზე ტრაგიკულად დაიღუპა ანსამბლის მენეჯერი და ქართული ცეკვის დიდი ქომაგი ემზარ გაბელია. ამ დიდი ელდისა და მწუხარების მიუხედავად, პატარა მოცეკვავეებმა საკუთარი მაღალი მისიის შეგნებით ღირსეულად გააგრძელეს გამოსვლა და როგორც ყოველთვის, უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს და ამით თავისებური პატივი მიაგეს დაღუპულის ხსოვნას. ლათინურ-ამერიკულმა ტურნემ კიდევ უფრო გააფართოვა „ორბის“ საერთაშორისო აღიარების არეალი და მისი ხელოვნების თაყვანისმცემელთა რიცხვს ათასობით ადამიანი შეემატა.






დღეს ანსამბლში 16 გოგონა და 35 ბიჭია. „ორბს“ თავისი მოსამზადებელი ჯგუფიც აქვს, რომელშიც 5-6 წლის ასაკიდან იღებენ ბავშვებს მას შემდეგ, რაც ისინი სამთვიან გამოსაცდელ ვადაში ყველა არსებულ მოთხოვნას დააკმაყოფილებენ. მერე კი იწყება მუხლჩაუხრელი შრომა, თითოეული ილეთის, მოძრაობის გულმოდგინე შესწავლა, გაუთავებელი დახვეწა. ანსამბლის წევრი ბიჭები კვირაში ხუთჯერ 2-2 საათს მეცადინეობენ, გოგონები კი – სამჯერ თითო საათს. ანსამბლის პედაგოგებთან ხათუნა ჯოხაძესთან და სერგო მუშკუდიანთან (რვა წლის განმავლობაში ბატონი გია მარტო მუშაობდა ბავშვებთან, პედაგოგები კი ორი






წლის წინ მოიწვია) და ხელმძღვანელთან გია დავითაშვილთან ერთად პატარები ითვისებენ ცეკვის ენას, რომელზეც მომავალში მაყურებელთან უნდა იურთიერთობონ.

წლიდან წლამდე ორბელები სულ უფრო ლაღად შლიან ფრთებს და სხვადასხვა მარშრუტებით მიფრინავენ ევროპაში, აზიაში, ამერიკაში. „პატარა ვირტუოზების“ სახელი „ორბის“ მოცეკვავეებს მსოფლიო პრესამ დაუმკვიდრა, რომელიც ყოველთვის ფართოდ აშუქებს პატარა ქართველი მოცეკვავეების გამოსვლებს. „ახალგაზრდა საქართველოს უძველესი ცეკვები“, სპექტაკლი „ვირტუოზი ბავშვები საქართველოდან“, „მსოფლიოში ყველაზე ცნობილი საბავშვო წარმოდგენა“ – ასეთ წარდგინებას უკეთებდნენ პრესა და იმპრესარიოები „ორბს“ ესპანეთსა და ლათინურ ამერიკაში. „ორი განყოფილება, 18 ცეკვა და 30 ბავშვი, – ასე შეიძლება გაიშიფროს ციფრებით სპექტაკლი, რომელიც გუშინდელს აქეთ არის წარმოდგენილი „ახალი აპოლოს“ თეატრში... „ქართველი ვირტუოზი ბავშვები“ – ამ ტიტულით მონაწილე ბიჭუნები და გოგონები 7-დან 12 წლამდე შეადგენენ მითიური საქართველოს ბალეტს, რომლებიც ხანჯლებით ჭრიან მადრიდის კოლიზეოს თეატრის იატაკს. დიახ, დიახ ჭრიან, რადგანაც ერთ-ერთ ცეკვას, რომელსაც ასრულებს 16 ბიჭი წითელი ფერის კოსტიუმებში და ტრადიციული ქუდებით, ცეკვავენ აკორდეონის და დოლის თანხლებით და სცენაზე ხანჯლებს არჭობენ... რაც შეეხება ვირტუოზობას-მატარებელს გააჩერებს. ამ პატარა ვირტუოზების ყოველი ნაბიჯი, სალტო თუ პირუეტი ხელოვნების მაგიაა და თუ არ გჯერათ, ჰკითხეთ დარბაისელ მაყურებელს, რომელიც პირდაღებული უკრავდა ტაშს ცეკვის ხელოვნების პატივისცემის ნიშნად“... „ეს შოუ“ ნახევარი მსოფლიოს საკონცერტო დარბაზებს შეავსებს და ყველაზე მეტად ესპანეთისას“.. „ქართველი ვირტუოზი ბავშვების“ სპექტაკლი თავისი ემოციურობით გულგრილს არავის დატოვებს“... „პატარა დიდი




მსახიობები, რომლებსაც თან ახლავს შესანიშნავი ქორეოგრაფია, მაგიური მუსიკა და ბრწყინვალე ფორმები, წარუშლელ კვალს დატოვებენ განვლილ ცხოვრება-ნაბიჯებზე“... – ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ აღტაცებული რეცენზია-გამოხმაურებებისა, რომლებიც „ორბმა“ ესპანეთსა და ლათინურ ამერიკის ქვეყნებში ტურნეს დროს დაიმსახურა. სხვათა შორის, სალვადორის დედაქალაქში „ორბის“ ხელოვნებას ამ ქვეყნის პრეზიდენტის მეუღლეც გაეცნო, რომელმაც თავისთან მიღებაზე მიიწვია მისი წევრები და მათთან ერთად სურათიც გადაიღო. გვატემალაში ცეკვის საერთაშორისო ფესტივალზე „ორბი“ ისეთ ცნობილ კოლექტივებთან ერთად გამოდიოდა, როგორიცაა მოსკოვის დიდი თეატრის ბალეტი, „მონტე-კარლოს ბალეტი“, „არგენტინის ტანგო“, „ესპანური ფლამინგო“. (მონაწილეთაგან ბავშვები მხოლოდ ორბელები იყვნენ). სპეციალურად „ორბის“ კონცერტისათვის დაბეჭდილ საუცხოოდ ილუსტრირებულ პროგრამებში წარმოდგენილი იყო ანსამბლის შექმნის ისტორია, მის მიერ მოპოვებული ჯილდოები, საკონცერტო მარშრუტები და რეპერტუარის თვრამეტივე ცეკვის შინაარსი, თითოეული მოცეკვავე, ანსამბლის ხელმძღვანელი, ქორეოგრაფები და მუსიკოსები.

იუბილარ ანსამბლს პერსონალური მიწვევა აქვს ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, იგეგმება კონცერტები მექსიკაშიც, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ყველანაირ ხარჯებს გადაიხდის მხარე, რომელიც ანსამბლს იწვევს, მისი წევრები კი ყველაფერთან ერთად უცხოელებისგან კუთვნილ ჰონორარსაც მიიღებენ.

ვულოცავთ „ორბს“ იუბილეს, ვუსურვებთ წარმატებებს და რწმენას გამოვთქვამთ, რომ ეს საუცხოო ანსამბლი კიდევ უფრო შორს გაუთქვამს სახელს ქართულ ხელოვნებას და ღირსეულად აღასრულებს ერთხელ ნატვირთ მისიას – მსოფლიოს გააცნოს საქართველოს თვითმყოფადი კულტურა, ისტორია, აწმყო და მომავალი.





# მსოფლიო კიდით კიდემდე

## იტალია

### ყველაზე „ტკბილი" ფესტივალი

იტალიის ქალაქ პერუჯაში გამართულ მსოფლიოს ყველაზე „ტკბილ" ფესტივალზე „ევროშოკოლადი" ევროპის მრავალი ქვეყნის ათასობით წარმომადგენელმა მოიყარა თავი. ფესტივალის მონაწილეებმა ჯერ შოკოლადისგან სხვადასხვა ფიგურები გამოძერწეს, მერე შოკოლადით დახატეს, ბოლოს კი შოკოლადის ავტომობილებითა და მოტოციკლეტებით რბოლაში სცადეს ძალები. დასასრულ ყველამ ქანდაკებებით, ნახატებით და ავტომობილებით ჩაიტკბარუნა პირი.

## ტუნისი

### „მწვანე კომპიუტერი" ბავშვებისათვის

მსოფლიო-ინფორმაციული საზოგადოების სამიტზე წარმოდგენილი იქნა იაფფასიანი საბავშვო ლეპტოპი, რომლის ავტორი აშშ-ს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მედიალაბორატორიის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ნიკოლას ნეგროპონტეა ახალი ლეპტოპის გამოყენებას, რომელსაც „მწვანე კომპიუტერი" ეწოდა, ბავშვები ჩვეულებრივი კომპიუტერის ან ელექტრონული წიგნის სახით შეძლებენ. მას სათამაშო მისადგმელის და პორტატული ტელევიზორის ფუნქციებიც ექნება და ბავშვებს მრავალმხრივი ცოდნის მიღებაში დაეხმარება.

კომპიუტერი მრავალფუნქციური მოწყობილობაა და მისი მართვა სენსორის ან კურსორის საშუალებითაა შესაძლებელი.

ბავშვებისათვის განკუთვნილ კომპიუტერს რეზინის გარსი ექნება, მისი ღვედი იმავდროულად დასამუხტი მოწყობილობის ფუნქციასაც შეასრულებს. კომპიუტერი 500 მჰც პროცესორით, „ვინჩესტერის" ნაცვლად ფლეშ-მეხსიერებით და ოთხი „იუესბი" პორტით იქნება აღჭურვილი. ახალი საბავშვო კომპიუტერის სამრეწველო ნიმუში მომავალ წელს გამოჩნდება.

## იაპონია

### თოვლის სახლში ღმერთებისათვის

ოდინდელი იაპონური ტრადიციით, კუნძულ ხონსიუს ქალაქ იოკოტაში ყოველწლიურად ტარდება ფესტივალი კამაკურა.



შორეულ წარსულში კამაკურას დღესასწაული შორიდან ჩამოსული ღმერთების საპატივცემულოდ იმართებოდა. ითვლებოდა, რომ თუ ღმერთებს გულითად და სტუმართმოყვარე მასპინძლობას გაუწევდნენ, დამდეგი წელი ფეხბედნიერი იქნებოდა. დღესასწაულის წინ ბავშვები მშობლებთან ერთად აშენებენ „კამაკურებს" სამი მეტრის სიმაღლის თოვლის სახლებს. მათ დღესაც ისევე აგებენ, როგორც რამდენიმე ასწლეულის წინათ: თოვლს აგროვებენ და თოვლის ბორცვში მღვიმეს თხრიან, შესასვლელის მოპირდაპირე კედელში კვეთენ საკურთხეველს ღმერთებისათვის. ბავშვები თოვლის სახლში იკრიბებიან, ანთებენ სანთლებს, შეეძცევიან ბრინჯის კვერებს და ტკბილ და თბილ სასმელ ამაზაკს აყოლებენ, ხოლო იმისათვის, რომ არავინ გაცივდეს, მღვიმეს პატარა ღუმელით ათბობენ.

## დიდი ბრიტანეთი

### „პატარა პრინცისთვის" ანთებული ვარსკვლავი



რადიოსამაუწყებლო კორპორაცია BBC-ის მიერ მოწყობილ კონკურსში, რომელსაც მუსიკალურ ტელეფილმში „პატარა პრინცი" მთავარი როლის შემსრულებელი უნდა გამოევლინა, 25 ათასმა ბავშვმა მიიღო მონაწილეობა. ქერა თმის, ცისფერი თვალებისა და საოცრად ლამაზი ხმის წყალობით გამარჯვება კენტის საგრაფოს მცხოვრებმა, 12 წლის ჯოზეფ მაკმენერსმა მოიპოვა. „პატარა პრინცმა" – ჯოზეფმა უკვე მოაწერა ხელი 3,6 მილიონიან კონტრაქტს კომპანია Sony-სთან.

## რუსეთი

### ცხრა წლის მწერალი

ამ მოსკოველ ბიჭს მშობლებმა რიჰარდ ბახის მოთხრობის გმირის საპატივცემულოდ დაარქვეს სახელი ჯონათანი. ამჟამად ჯონათან კიმელფელდი ცხრა წლისაა და უკვე არა ერთი ზღაპრის, ლექსისა თუ მოთხრობის ავტორია, პირველი ზღაპარი კი ხუთი წლისამ შეთხზა. წელს მან მონაწილეობა მიიღო იუნისეფისა და „როსბანკის" პროგრამის „ახალი დღე" ჩარჩოებში ორგანიზებულ კონკურსში „საფეხური წარმატებისკენ 2005" და საუცხოო პრიზი – კომპიუტერი დაიმსახურა. ჯონათანი ყოველთვის მზადაა სხვების დასახმარებლად. თუმცა თავად მძიმე დაავადებას ებრძვის, როცა წელიწადნახევრის წინ ბესლანში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ გაიგო, მან მიაწერა დიანას, იმ გოგონას მისამართს, რომელიც სკოლის ალებისას დაიჭრა და მიწერ-მოწერა გააბა მასთან. დიანა და ჯონათანი ერთმანეთის დახმარებისა და გამხნევების სურვილმა დააახლოვა. ჯონათანმა თავის მეგობარს ლექსიც კი მიუძღვნა.





# ႼႨႢႬႨႱ ႫႠႰႢႠႪႨႲႤႡႨ



## მუხრან მაჭავარიანი

* * *

ვით დავივიწყებ,
ვით ხელვყოფ,
ვინც მშვა,
მაწოვა ვინც ძუძუ...
ჩვენი დიადი წარსული,
როგორ გგონია, –
მე მძულს, თუ?!
მაგრამ მერწმუნე, მმობილო,
შენც უნდა შეჰკრა კამარა;
სულ რომ არ იყო, – სჯობია! –
ყოფნას წარსულის ამარა!

### ძველთა ჩვენთა წესი

უჩრდილებდათ მუხა,
ვერხვი, ბზა თუ მეწნა,
ჩასცქეროდნენ მიწას,
თუ უმზერდნენ ზეცას,
თავგანწირვა ჰქონდათ
ძველებს ჩვენსას წესად,
ჩვეულებას სთვლიდნენ
რჯულზე უმტკიცესად.
ვცვლით როდესაც მიწას,
ვიპყრობთ როცა ზეცას, –
ძველთა ჩვენთა წესი, –
არ გვაწყენდა დღესაც.

### მრავალჭირვარამგადანახადი

მრავალჭირვარამგადანახადი,
უნატიფესი ენა ქართული,
ყველაზე კარგად
რომლის ლაზათი
შოთას ლექსშია გამოხატული.
ვინ იცის,
მტარვალს გადურჩა რამდენს,
ვინ იცის,
მტერი ჰყავდა რამდენი...
მაინც შეიძლო მოსვლა აქამდე,
არ აღმოიფხვრა,
არ გაცამტვერდა.
დღეს ბედი მისი
ჰკიდია ჩვენზე!
ლარი და ხაზი
ამას რად უნდა.
ჩვენ უნდა შევძლოთ,
და ვინძლო შევძლებთ! –
კვლავ იძლიეროს ენამ ქართულმა.

### საქართველო

ვისაც უყვარს საკუთარი
სამშობლო და მინდორ-ველი,
ვინც არ უნდა იყოს იგი –
ჩინელი თუ ინდოელი.
ვინც გლეხია,
ვინც მუშაა,
ვინც სიმართლის მძებნელია,
საქართველო არ უყვარდეს –
ყოვლად შეუძლებელია!
კიდევ უფრო
კიდევ უფრო,
იღორძინე,
საქართველოვ,
კიდევ უფრო ბევრი შვილი
გამოზარდე სასახელო,
კიდევ ერთი რუსთაველი,
კიდევ ერთხელ აამღერო,
შენც იხარო,
ჩვენც გვახარო,
გამხნევდე და გაგვამხნევო! –
გვევალება,
საქართველოვ,
შეგვიძლია,
საქართველოვ,
გაგვიმარჯოს,
საქართველოვ!

# დასამახსოვრებელი სახელები

## მამუკა ანთაძე

–პატარა რომ ვიყავი, სამი სიზმარი ვნახე ღმერთზე, მახსოვს, ფრთები გამომესხა და ავფრინდი... – ყვება მამუკა და ფიქრებში სიზმრად ნანახს უბრუნდება. ვინ იცის, იქნებ სიზმრად ნანახმა ფრთებმა საჭადრაკო ოლიმპამდეც მიიყვანოს დიდი იმედების მომცემი პატარა მოჭადრაკე, ჯერჯერობით კი მასწავლებლის, მაკა ხანთაძის ხელმძღვანელობით იგი თამამად მიაბიჯებს ამ ბრძნული თამაშის სამყაროში და წარმატებით ძლევს ყოველ ახალ საფეხურს.

ერთი წელიც არ არის, რაც მამუკა ჭადრაკზე დადის და უკვე მიიქცია სპეციალისტთა განსაკუთრებული ყურადღება – სულ რამდენიმე თვეში გახდა პირველთანრიგოსანი და ზედიზედ რამდენიმე მნიშვნელოვან ტურნირში გამოიჩინა თავი, შოთა ინწკირველის მემორიალში, თბილისის ჩემპიონატში, ნონას თასის გათამაშებაში – პირველ ხუთეულში მოხვდა, ხოლო ვ. ქარსელაძის მემორიალში თავის დაფაზე პირველი ადგილი დაიკავა და მოპოვებული ქულებით დიდად შეუწყო ხელი თავისი გუნდის გამარჯვებას. ქალბატონი მაკა თავის პატარა მოსწავლეში ქართული ჭადრაკის საიმედო ცვლას ხედავს, მოსწონს, რომ ნიჭიერებასთან ერთად მამუკას შრომისმოყვარეობაც ახასიათებს და ფიქრობს, რომ ეს სინთეზი ყმაწვილს არა ერთ გამარჯვებას მოაპოვებინებს.

მამუკა თბილისის 53-ე საშუალო სკოლის მეორე კლასის მოსწავლეა და აქაც ერთ-ერთი საუკეთესოა. კითხვა სამი წლისამ დაიწყო, ანგარიშიც სულ პატარამ ისწავლა, დღეს კი ათასეულების ფარგლებში ზეპირად ანგარიშობს. კომპიუტერთანაც კარგა ხანია გაშინაურებულია, ძალიან უყვარს კომპიუტერული თამაშები და მულტფილმები. კიდევ მამუკას ფეხბურთი უყვარს, ცდილობს მსოფლიოს ყველა წამყვანი გუნდის მატჩებს ადევნოს თვალი.



# ერთი თქვენგანი

## ნინო ლეკიაშვილი

წყნარი და უპრეტენზიო, გამრჯე და ბეჯითი, თითქოს შეუმჩნეველი, თუმცა სხვებისგან გამორჩეული, პატარა დიდი ადამიანი, რომელსაც ძალუძს სწავლას შრომა შეუთავსოს. ამ გოგონასთვის ყოველი დილა საუზმის სამზადისით იწყება, ხოლო ღამე უმცროს და-ძმებზე ფიქრით ღამდება.



დუხჭირმა ცხოვრებამ, როგორც ბევრი სხვა, ნინოს მშობლებიც დააშორა შვილებს, სამუშაოს შოვნის იმედით მათ საბერძნეთს მიაშურეს და ოთხი არასრულწლოვანი შვილი – ბებიის იმედად დატოვეს. მზრუნველი ბებია შვილიშვილებს ყურადღებას არ აკლებს, მაგრამ დიასახლისობა ნინოს აკისრია. სადილის მომზადებაში, რეცხვასა და სახლის დალაგება-დასუფთავებაში უმცროსი დაიკოც ეხმარება.

ნინო ლეკიაშვილი 1990 წლის 8 ნოემბერს დაიბადა. პირველ კლასში რუსთავის №4 საშუალო სკოლაში შევიდა, ხოლო მეოთხე კლასიდან რუსთავის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო კერძო ხელოვნების სკოლის VIII კლასის მოსწავლეა. წარმატებით სწავლობს ყველა საგანს, მომავალში კი ინგლისურისა და კომპიუტერის საფუძვლიანად შესწავლას აპირებს. კერძო სკოლებს შორის გამართულ საგნობრივ ტურში ნინომ მათემატიკაში I, ხოლო ინგლისურში III ადგილი დაისაკუთრა. ეს გამარჯვებები რომ მხოლოდ მომავალი უფრო მნიშვნელოვანი მიღწევების საწინდარია, სჯერა ყველას, ვინც კი ამ გოგონას იცნობს.

–ნინო იმდენად ჭკვიანი და სერიოზული მოსწავლეა, – ამბობს მისი სკოლის დირექტორი ქალბატონი გულიკო ხატიაშვილი, – რომ შემიძლია იმედიანად ჩავაბარო სკოლა, რადგან ვიცი, რომ თავისუფლად გაართმევს თავს სკოლის მართვასაც კი.

ნინოს მარჯვე ხელები და უშრეტი ფანტაზია აქვს. მას შეუძლია ბუნებრივი მასალისგან საინტერესო, ორიგინალური კომპოზიციები შექმნას. კარგა ხანია მისი ნახელავი „გედები“ სკოლას ამშვენებს. ბუნების ამ ლამაზი სურათის შესაქმნელად შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულმა გოგონამ ხავსი, ნიჟარები, გამხმარი ყვავილები და ბალახის ღეროები გამოიყენა. მას კიდევ არაერთი საინტერესო ნამუშევარი აქვს.

ნინოს პიროვნულ პორტრეტს რამდენიმე შტრიხი მისმა მეზობელმა და დიდი ხნის მეგობარმა გიორგი მარაქველიძემაც დაამატა: – ნინოს ძალიან უყვარს მეგობრები და თავისუფალ დროის მეტ წილს მათთან ატარებს, თუმცა, უფრო ხშირად სახლშია, კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას, ხშირად უსმენს თავის საყვარელ ქართველ მომღერლებს სალომე გასვიანს, დათო ხუჯაძეს და გიგა მიქაბერიძეს. ერთი სიტყვით, სწავლობს, შრომობს და ბედნიერ მომავალზე ოცნებობს.



# რატომ ვამბობთ ასე?

**ხახვივით შერჩა** – იოლად გადაერჩა პასუხისგებას. ძველად კახეთში, მეზობელს ხახვს რომ ასესხებდნენ, უკან არც გამოართმევდნენ და არც ჩასესხებას თხოვდნენ, რადგან დაბრუნებულ ხახვს, რომელიც სიმწარის სიმბოლოდ ითვლებოდა, შეიძლებოდა მსესხებლის სახლში სიმწარე და ცრემლი მოეტანა. ამიტომაც მოსესხეს თამამად შეეძლო ეთქვა, ხახვი შემრჩაო.

**მღვდელივით და მისი ცოლივით გავძეხიო** – მეტის ჭამა არ შემიძლია, ბევრი ვჭამე. ძველად მღვდლების ოჯახი განთქმული იყო შეძლებით, განსაკუთრებით საჭმლის მხრივ სავსება სუფევდა მათ ოჯახებში. მღვდელი და მისი ცოლი, სხვებთან შედარებით, პირთამდე სავსენი იყვნენ საჭმელ-სასმელით და სუფრიდან იშვიათად თუ ადგებოდნენ ყელთამდე გაუმაძღრები. ასე იქცა მათი მაძღრობა და ჭამის სიყვარული მაძღრობის სინონიმად.

**ორომტრიალი** – ხალხის არეულობა, ჩოჩქოლი, აურზაური. ორომი ვარცლის დასაფარებელი, ტაბაკის ფორმის, სამი თუ ოთხი გოჯის სიმაღლის ფეხებიანი ფიცარია. ვარცლიდან ცომის გუნდებს რომ იღებენ თონეში ჩასაკრავად, ჯერ ორომზე აწყობენ იმდენს, რამდენიც ერთ გახურებულ თონეში ჩაეტევა და მერე ზედვე გაბრტყელების შემდეგ იქიდან იღებენ თონეში ჩასაკრავად. სოფლად როცა ქორწილი თუ ქელეხი იყო და ბევრი პური უნდა გამომცხვარიყო, ამ პურს რამდენიმე თონეში აცხობდნენ და ცხადია, ორომსაც ერთს კი არა, რამდენიმეს ატრიალებდნენ, ხშირ-ხშირად აქეთ-იქით მიჰქონდათ ხოლმე ანუ ოჯახში ორომტრიალი იყო. ორომის ხშირი ტრიალი, ორომტრიალი დაერქვა ჩოჩქოლს, აურზაურს.

**საცრის სათხოვნელად მისვლა** – საცრის სათხოვნელად მოვიდა, ხატოვნად იტყვიან იმაზე, ვინც სადმე მივა და საქმეც რომ ჰქონდეს, მაინც იძახის, მეჩქარება, არა მცალია, უნდა წავიდეო.

საცრის სათხოვნელად მისვლა გულისხმობს, რომ სათხოვნელად მისულს ეჩქარება, რადგანაც შინ გასაცრელი ფქვილი, მოსაზელი ცომი, გამოსაცხობი პური ელოდება.

**სიდედრს ჰყვარებიხარ!..** – საჭმლისთვის მისწრების ბედი გქონია. ამას ჭამის დროს შემოსწრებულ კაცს ეტყვიან, როცა სიდედრს სიძე უყვარს, მისი გულის მოგებას ცდილობს, არაფერს იშურებს მისთვის, ჭამა-სმას და პატივისცემას არ აკლებს, ერთთავად თავს ევლება. როცა სიძეს ელოდება სტუმრად, სუფრას ყოველთვის გაშლილს ახვედრებს.

ნაკადული

# სიტყვის კონა



**თექა** – მოთელილი მატყლის საფენი ქეჩა.

**თოქალთო** – ცხენის ზურგზე უნაგირის ქვეშ დასაგები ტყავგადაკრული თექა.

**ქოროხი** – ადიდებული მდინარის ან ნიაღვრების მოტანილი ნარიყი.

**ხელუკყარი** – უქნარა, არაფრისგამკეთებელი.

**წელანწარა** – ზარმაცი, წელმოწყვეტილი ადამიანი.

**შემრეშილი** – მწვანე-წითლად შემღვრეული, ახლადშემწვანებული პამიდორის ფერი.

**როყინი** – კამეჩის ხმიანობა.

**პითელი** – ლეიბის, საბნის და მისთანების შიგნითა პირი, რომელშიც ბუმბული, მატყლი ან ბამბაა მოთავსებული.

**სადაგი** – სამუშაო, არაუქმე დღე.

**ხეპრე** – ბრიყვი, გაუზრდელი, უხეში.

**ხიჩატელი** – ველური ხილი.

**ხორტი** – მთის ნაოჭებში ჩარჩენილი თოვლი.

**ჯორჯი** – მსხვილი, ტლანქი, უხეში.



# დღეს ჩვენ ვიამბობთ... რომის კოლიზეუმზე

კოლიზეუმის ანუ ფლავიუსთა ამფითეატრის მშენებლობა ჩვენი წელთაღრიცხვის 75 წელს, იმპერატორ ვესპასიანე ფლავიუსის ბრძანებით დაიწყო და 80 წელს, მისი შვილის ტიტუს ფლავიუსის მმართველობის ხანაში დამთავრდა. ამფითეატრის გახსნასთან დაკავშირებით იმპერატორმა ასდღიანი თამაშები გამოაცხადა. კოლიზეუმის არენაზე გამართულ ამ თამაშებზე ერთმანეთს რამდენიმე ათასი გლადიატორი ერკინებოდა, ერთ დღეს კი ხუთიათასამდე გარეული ცხოველი მოიკლა. კოლიზეუმი მუდამ სავსე იყო ხალხით, რომაელები ადრიანი დილიდან მოემურებოდნენ აქეთ საყვარელი წარმოდგენის – გლადიატორთა ორთაბრძოლების, ლომების, ვეფხვების, სპილოების ბრძოლების, ბოროტმოქმედთა სიკვდილით დასჯის საყურებლად. ზოგჯერ არენას 1,5 მეტრზე წყლით ფარავდნენ და გრანდიოზულ საზღვაო ბრძოლებს აწყობდნენ.



**იმპერატორის ლოჟა.** იმპერატორი წარმოდგენას თავისი პირადი ლოჟიდან უყურებდა. როგორც წესი, მთელი სანახაობის საფასურს სწორედ ის იხდიდა ხოლმე.

**საყრდენი გადმოხურვისთვის.** მაყურებლების წვიმისგან და მცხუნვარე მზისაგან დასაცავად არენას ჩარდახი ჰქონდა გადმოხურული. ამფითეატრის ფასადი დამშვენებული იყო ხის ანძებით, რომლებზეც უზარმაზარ ტენტს ჰკიდებდნენ.

**ტრიბუნები.** არსებობდა მკაცრი წესი, რომლითაც დადგენილი იყო, ვინ სად უნდა მჯდარიყო. რაც უფრო მდიდარი და წარჩინებული იყო რომაელი, მით უფრო ახლოს იყო არენასთან მისი ადგილი.

**კიბე.** სულ ზედა ადგილების ბილეთების მფლობელებს 140 საფეხურის ავლა უწევდათ.

**გვირაბი** კოლიზეუმს რომის ყველაზე დიდ გლადიატორთა სკოლასთან აკავშირებდა, რომელიც თეატრის შენობიდან 60 მეტრის მოშორებით მდებარეობდა.

**ნერონის ქანდაკება.** როგორც ამბობენ, კოლიზეუმის სახელწოდება (ლათინურად colossus უზარმაზარს ნიშნავს) ამფითეატრის წინ აღმართული იმპერატორ ნერონის 30 მეტრიანი ქანდაკებიდან მომდინარეობს.

**შესასვლელები.** მრავალრიცხოვანი შესასვლელი თაღების წყალობით 50 ათას მაყურებელს შეეძლო 3 წუთში დაეცალა ამფითეატრი. თაღების თავზე ადგილების ნომრები იყო მითითებული.

**წარმოდგენა.** დილა კოლიზეუმში გარეული ცხოველების ბრძოლებით იწყებოდა, მერე კი არენაზე გლადიატორები გამოდიოდნენ.

**სარდაფები.** ქვიშამოყრილი ფიცრის არენის ქვეშ შესასვლელებისა და ცხოველებისთვის განკუთვნილი ბაკების მაზილგონივრული სისტემა იყო განლაგებული. აქედან გლადიატორებს ლუკების მეშვეობით შეეძლოთ ბრძოლის შუაგულში მოხვედრილიყვნენ.

**კოლიზეუმი ციფრებში**

- ამფითეატრი ოვალური მოყვანილობისაა. მისი სიგრძეა 188, სიგანე კი – 156 მეტრი.
- კოლიზეუმის სიმაღლეა 48 მეტრი.
- თეატრში ერთდროულად 50 000 მაყურებელი ეტეოდა.
- კოლიზეუმში წარმოდგენები 400 წლის მანძილზე იმართებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა
23692
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი სახე სკოლას ახალი ცხოვრების დასაწყებად სჭირდება

**წარმოგიდგენთ ქ. რუსთავის №13 საშუალო სკოლის დირექტორს ირმა მიმინოშვილს**

**დაამთავრა თსუ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი; სამართლის, ეკონომიკის და პედაგოგიკის ინსტიტუტის სამართლის ფაკულტეტი, მუშაობდა რუსთავის საერო ინსტიტუტ „რვალში“ – უმაღლესი მათემატიკის ლექტორად, კულტურის სახლის დირექტორის მოადგილედ, რუსთავის მრავალპროფილიან საშუალო სკოლა-ლიცეუმ „იმედში“ დირექტორის მოადგილედ, რუსთავის მუნიციპალურ თეატრში საინფორმაციო სამსახურის უფროსად.**



მშობლიური სკოლის ძახილმა რუსთავის მუნიციპალური სამსახურის უფროსი ქ-ნი ირმა მიმინოშვილი არჩევანის წინაშე დააყენა და პროფესიითა და მოწოდებით პედაგოგმა დირექტორის საშტატო ერთეულზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა გადაწყვიტა. იგი ყველა მაჩვენებლით საუკეთესო აღმოჩნდა და ახალი სასწავლო წლიდან რუსთავის №13 საშუალო სკოლის დირექტორად დაინიშნა.

–სკოლას ახალი სახე ახალი ცხოვრების დასაწყებად სჭირდება, – მიაჩნია ქალბატონ ირმას და იგი მიზნად ისახავს, ისეთი დირექტორი იყოს, როგორზედაც თავად ოცნებობდა მისი მოსწავლეობისას და პედაგოგობისას. ეჭვი არ არის, რომ ხასიათის სიმტკიცე, სიმშვიდე და გაწონასწორებულობა, სამართლიანობა, ახლის ძიების სურვილი და მდიდარი ფანტაზია ოცნების ასრულებაში დაეხმარება.

დღევანდელი გადასახედიდან ბევრ რამეს სხვაგვარად აღიქვამს თვალი, სიახლის ფერხულში ჩაბმაა საჭირო, – ასე თვლის ახალი დირექტორი. მასწავლებელთა ნაწილს არ სურს იმის გაგება, რომ სწავლების მეთოდები მოძველდა, რომ მოსწავლეს მომაბეზრებლად მიაჩნია დრომოჭმული, არაფრისმომცემი გაკვეთილები. პედაგოგმა უნდა შეძლოს ინტერესი გაუღვივოს მოსწავლეს, რათა ამ უკანასკნელს თვითონ გაუჩნდეს ცოდნის შესავსებად დამატებითი მასალის მოძიების სურვილი. თუ ჩვენ ეს არ შეგვიძლია, უარი უნდა ვთქვათ პედაგოგობაზე და გზა დავუთმოთ ახლებურად მოაზროვნე თაობას.

თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი სკოლის შესაქმნელად ბევრია საკეთებელი. უპირველესი კი მყუდრო და საქმიანი ატმოსფეროს შექმნაა. ბავშვი სკოლაში სასწავლებლად უნდა მიდიოდეს და მშობელი დარწმუნებული უნდა იყოს შვილის კეთილდღეობაში. დისციპლინა არა მხოლოდ კლასში, დერეფანში და სკოლის ეზოშიც მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს. აღარაფერს ვამბობ საგნებზე და თუნდაც საკუთარი ისტორიის და მშობლიური ენის ცოდნის აუცილებლობაზე. ჩვენმა სკოლამ საზოგადოების ღირსეული და სრულფასოვანი წევრები უნდა აღზარდოს. განსაკუთრებით კარგი მაგალითი უნდა ვუჩვენოთ ქართული სკოლის არაქართველ მოსწავლეებს. გაჭირვებულთა დასახმარებლად მოწყობილი საქველმოქმედო აქცია და მსგავსი ღონისძიებები, რასაც პერიოდულად მოვაწყობთ, ამ ამოცანის გადაჭრაში ნამდვილად დაგვეხმარება. მე ყოველთვის ვამაყობ ჩემი სკოლით, დღეს კი საამაყო უფრო მეტი გვაქვს. წლევანდელ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩვენმა თორმეტმა მოსწავლემ გრანტი მოიპოვა, ხოლო 20 უგრანტოდ ჩაირიცხა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. სკოლას ჰყავს უცხო ენების რესპუბლიკურ ტურში გამარჯვებული მოსწავლე გვანცა ზარიძე, რომელმაც ამერიკაში წასვლის საგზური მოიპოვა, სხვათა შორის გვანცა ერთ-ერთი მათგანია, ვინც ქალბატონ ლორა ბუშს საქართველოში ყოფნისას შეხვდა. ღმერთმა გვიმრავლოს განათლებული ახალგაზრდები. მოსწავლე დიდი ძალა, ჩვენი ქვეყნის მომავალი გამარჯვების შემოქმედია და მის ნიჭიერებას გზასავალი უნდა მივცეთ.

# შემოდგომის ზეიმი სკოლაში

იმ დღეს შემოდგომის ფერებით მორთულ ქ. რუსთავის №13 სკოლას უამრავი სტუმარი ეწვია, რომლებსაც წინ მშვენიერი სანახაობა ელოდათ.

ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილმა გოგო-ბიჭებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხის კულტურული ტრადიციები წარმოაჩინეს. სკოლის ჩვეულ გარემოს წლევანდელი ბარაქიანი შემოდგომის ჭირნახული და გაყვითლებული ფოთლები განსხვავებულ ელფერს სძენდა. ქართველი და არაქართველი მოსწავლეები ერთმანეთის მონაცვლეობით კითხულობდნენ ლექსებს.





ჩინებულად მეტყველებდნენ ქართულად დავით შევჩენკო, გიორგი გასანოვი, აზერბაიჯანული სკოლიდან წელს გადმოსული ფირანგიზ გასანოვი. ცეკვას სიმღერა ცვლიდა, სიმღერას – ინსცენირება, ლუარსაბსა და დარეჯანს – მეოცნებე ფუფალა, ფუფალას – პირმშვენიერი პირიმზე... ღონისძიების ბოლოს საქართველოს სახელმწიფოს ჰიმნი აჟღერდა.

ქალაქის ვიცე-მერმა ლეილა აფციაურმა და განათლების კოორდინატორმა ეთერ ჭიპაშვილმა გულითადი მადლობა გადაუხადეს სკოლის დირექტორს ირმა მიმინოშვილს, დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობით დარგში მაყვალა ყოჩიაშვილს, მუსიკის პედაგოგს ქეთევან გუნცაძეს, პედაგოგებს მანანა მეტრეველსა და ია ქოქიაშვილს, მოსწავლეებსა და მშობლებს საინტერესო და ლამაზი ღონისძიებისათვის.

# საოცარი მცენარეები

### მყრალი სუნის რეკორდსმენი ყვავილი

ეს უზარმაზარი ყვავილი, რაფელზია ინდონეზიის ტყეში იზრდება, მისი დიამეტრი ერთ მეტრს აღწევს. შესახედავად მშვენიერ ყვა-



ვილს დამპალი ხორცის სუნი აქვს და სწორედ ამ მყრალი სუნით, რომელიც მთელი კილომეტრის მანძილზე ვრცელდება, იზიდავს იგი მწერებს, რომლებიც ხელს უწყობენ მის დამტვერვას.

### მსოფლიო მძიმეწონოსანი

110 მეტრის სიმაღლის სექვოია „გენერალი შერმანი“, რომელიც კალიფორნიის ეროვნულ პარკში



იზრდება, მსოფლიოში ყველაზე მძიმე ხედ არის აღიარებული. 2000 წლის ეს ხე 2500 ტონას ანუ იმდენივეს იწონის, რამდენსაც ერთად აღებული 1000 მსუბუქი ავტომანქანა.

### ჩვენი პლანეტის ყველაზე დიდი ყვავილი

მსოფლიოს ყველაზე დიდი ყვავილი ტიტან არუმი სამი მეტრის სიმაღლეს აღწევს. მისი წითელი



ნაყოფი არ იჭმევა, სამაგიეროდ, მისი უზარმაზარი, 100 კილოგრამიანი ბოლქვი გემოთი კარტოფილს ჰგავს.

### უხუცესი ხე

რა არ უნახავს ამ ფიჭვს თავისი სიცოცხლის 4700 წლის მანძილზე. ასეთი ხანდაზმული ასაკის პატივისცემით ფიჭვმა საკუთარი სახელიც კი დაიმსახურა – მათუსალა. ხომ გახსოვთ, ასე ერქვა ბიბლიურ პერსონაჟს, რომელსაც, გადმოცემის თანახმად, 969 წელს უცოცხლია.

### ნაყოფი, რომლის დამწიფებასაც 20 წელი სჭირდება

სეიშელური პალმის ნაყოფი – ყველაზე დიდი და იშვიათი – 20 წელი მწიფდება. XVI საუკუნეში ერთ ასეთ კაკალში სხვადასხვა საქონლით დატვირთულ გემს იძლეოდნენ.





ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო...

# სკვაირის საცოლე

## (ინგლისური ხალხური ზღაპარი)

ძველ დროში ცხოვრობდა ერთი მდიდარი სკვაირი, დიდძალი ოქრო-ვერცხლისა და უზარმაზარი ფერმის პატრონი. მაგრამ მხოლოდ სიმდიდრესა და ფულს არავისთვის მოუტანია ბედნიერება და არც ჩვენი მოხუცი სკვაირი იყო თავისი ბედის მადლობელი. სკვაირი ქვრივი იყო.

ერთ დღეს მან თავის ფერმაში მომუშავე მეზობლის მშვენიერი ქალიშვილი დაინახა. როგორც მდიდრებს სჩვევიათ, სკვაირმაც იფიქრა, რომ ღარიბი გოგონასთვის ერთი გადაკრული სიტყვაც საკმარისი იქნებოდა, რათა ასულს სიხარულისგან გონება დაბინდოდა და ბებერ სკვაირს კისერზე ჩამოჰკიდებოდა.

მოხუცმა პირდაპირ უთხრა გოგონას, ხელახლა დაქორწინებას ვაპირებო, გოგონამ კი ეშმაკურად ჩაიცინა და უპასუხა:

–ოცნებას კაცი არ მოუკლავს, თუმცა უკეთესი იქნება თქვენი ასაკის შესაფერის ქალზე გეფიქრათ.

–მე გადავწყვიტე, რომ მხოლოდ შენ იქნები ჩემთვის შესაფერისი ცოლი, – დაბეჯითებით თქვა გაფხორილმა სკვაირმა.

–არა, ბატონო, გმადლობთ, ეს ყოვლად შეუძლებელია, – უპასუხა გოგონამ.

მოხუცი წინააღმდეგობას არ იყო მიჩვეული და რაც მეტად უძალიანდებოდა გოგონა, მით უფრო უცხოველდებოდა მასზე დაქორწინების სურვილი. რაკი სკვაირმა საპატარძლოს კეთილგანწყობის მოპოვება ვერ შეძლო, მამამისთან კაცი აფრინა და შეუთვალა: –თუ შენს ქალიშვილს ცოლად გამომაყოლებ, ყოველგვარი გადასახადებისა და ვალისგან გაგათავისუფლებო.

ამასთან შეჰპირდა, რომ დამოყვრების შემთხვევაში მიწის პატარა ნაკვეთსაც მისცემდა, რომელიც მის მდელოსთან ახლოს მდებარეობდა. სასიმამრო აღფრთოვანებით შეხვდა თავის კბილა სასიძოს წინადადებას.

–კეთილი, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ჩემს ქალიშვილს მალე მოვიყვან ჭკუაზე. ის ჯერ სულ ბავშვია და არ იცის, რა არის უკეთესი მისი მომავლისთვის.

მაგრამ მამის ხვეწნა-მუდარამ და მუქარამ აზრი ვერ შეაცვლევინა ქალიშვილს. – მაგ ბებერს ცოლად არ გავყვები, თუნდაც მთელი ქვეყნის ოქრო-ვერცხლი კარზე დამიგროვოსო.

სკვაირმა დიდხანს იცადა, მაგრამ ბოლოს საშინლად განრისხდა, დაიბარა სასიმამრო და გამოუცხადა:

–მე მეტის მოთმენას აღარ ვაპირებ, თუ გინდა ვალებისაგან გაგათავისუფლო და მიწის ნაკვეთი გაჩუქო, გადაწყვეტილება დროზე მიიღე!

გოგონას მამას სხვა გზა არ ჰქონდა და უპასუხა: თქვენ ქორწილისთვის მოემზადეთ და როცა სტუმრები მოვლენ, პატარძლის წამოსაყვანად კაცი გამოგზავნეთ. ჩემს ქალიშვილს მოვატყუებ, თითქოს ფერმაში სამუშაოდ იბარებთ და ჯვარს ისე დავწერთ, ფიქრის დროც კი არ დარჩება.

სკვაირს მოეწონა ეს აზრი და ქორწილის სამზადისს შეუდგა. გამოსაცხობი გამოაცხეს, საკლავი დაკლეს, ლუდი მოხარშეს, სტუმრები დაპატიჟეს. მართლაც დიდებული სუფრა გაიშალა. როცა მოწვეული ხალხი მოგროვდა, სკვაირმა მოჯამაგირე იხმო და უბრძანა მეზობელთან წასულიყო და დანაპირები გამოერთმია. – იცოდე, მყისვე უკან დაბრუნდი, – მუქარით და მუშტის ქნევით უთხრა ბიჭს, – თორემ...

ბიჭი ტყვიასავით გავარდა დავალების შესასრულებლად. თვალის დახამხამებაში მივიდა ქალიშვილის მამასთან და სულმოუთქმელად მიაყარა:

–ჩემმა ბატონმა დანაპირების წასაყვანად გამომგზავნა, წუთითაც არ დამაყოვნოთ, ძალიან მეჩქარება.

–დიახ, დიახ, ჩაირბინე მდელოზე და წაიყვანე, ნამდვილად იქ იქნება.

მოჯამაგირე თავქუდმოგლეჯილი დაეშვა ქვევით და, როცა მდელოს მიუახლოვდა, დაინახა ფოცხით მომუშავე გოგონა, – მე იმის წასაყვანად მოვედი, რასაც მამათქვენი ბატონს დაჰპირდა, ჩქარა, თუ შეიძლება, დიდხანს ვერ მოვიცდი, – გზიდანვე დაუძახა ქალიშვილს.

„აი თურმე რაშია საქმე, ახლა კი ვხვდები, რატომ დუმდა ასე საეჭვოდ მამა“, – გაიფიქრა საპატარძლომ, ხმამაღლა კი უპასუხა:

–შეპირებული საჩუქარი აი ის წაბლა ფაშატია, ბარდის ყანის ბოლოში რომ არის დაბმული, ახსენით და წაიყვანეთ.

ბიჭი კისრის ტეხით გაიქცა, ახსნა ცხენი, შემოახტა და სახლისკენ გააჭენა.

–მოიყვანე? – ჰკითხა ბატონმა.

–დიახ, კართან დგას, – უპასუხა ბიჭმა.

–დედაჩემის ყოფილ ოთახში შეიყვანე! – ბრძანა ნასიამოვნებმა ბატონმა.

–კი, მაგრამ... ეს როგორ მოვახერხო? – ჩაიბურტყუნა დაბნეულმა მსახურმა.

–ისე მოიქეცი, როგორც გიბრძანე. თუ მარტო ვერ შეძლებ მის დამორჩილებას, სხვებსაც უხმე დასახმარებლად. დროზე, არ მცალია! – მიუგო ბატონმა და სტუმრებს მიაშურა. სკვაირი დარწმუნებული იყო, რომ გოგონა ჭირვეულობას დაიწყებდა და გადაწყვიტა თვითონ აღარ დანახვებოდა. ბატონის გამომეტყველება რომ დაინახა, ბიჭი მიხვდა, რომ შეპასუხებას აზრი აღარ ჰქონდა და ბრძანების შესასრულებლად წავიდა. სკვაირის ბრძანების შესრულებაში ყველა მსახური იღებდა მონაწილეობას. ზოგი ფაფარში ეჭაჩებოდა, ზოგი კუდში, როგორც იქნა, ცხენი კიბეზე აიყვანეს და პატარძლისთვის განკუთვნილ ოთახში შეიყვანეს. საწოლზე ძვირფასი საქორწილო ტანსაცმელი იყო გადაფენილი. დაღლილმა მსახურმა ოფლი მოიწურა, ბატონის წინაშე ვალმოხდილი წარდგა და დავალების შესრულება ამცნო, თან დაუმატა, რაც ხანია ფერმაში ვმუშაობ, ეს ყველაზე მძიმე სამუშაო იყო ჩემთვისო.

–არაფერია, დაგიფასდება, ახლა კი ქალები გაგზავნე, გამოაწყონ როგორც წესი და რიგია, გვირგვინი და სამკაული არ დაივიწყონ! – ახალი ბრძანება გასცა ბატონმა.

–კი მაგრამ... სცადა შეპასუხება ბიჭმა.

–ხმა-კრინტი, გააკეთე, რასაც გიბრძანებ!

ბიჭი სამზარეულოსკენ გაიქცა და პირისფარეშებს უთხრა:

–წადით ზევით და წაბლა ფაშატი საპატარძლოდ გამოაწყეთ, მე მგონი, ბატონს უნდა, ყველას დასაცინი გახდეს.

ფაშატი ისე გამოაწყეს, ნამდვილ პატარძალსაც კი შეშურდებოდა და ბატონს მოახსენეს, რომ მისი ბრძანება შესრულებული იყო.

–ძალიან კარგი, – თქვა სკვაირმა ქვევით ჩამოიყვანეთ და მე თვითონ დავხვდები სადარბაზო კართან.

ცხადია, მსხურებმა ვერა და ვერ მორაგეს „საპატარძლოს" აბრეშუმის ქოშები, და წაბლა ფაშატი ჩლიქების საშინელი თქარათქურით ჩამოჭენდა კიბეზე. პატარძლის გამოჩენაზე დარბაზში ჯერ ჩუმი ჩურჩული და ხითხითი გაისმა, შემდეგ კი თავაშეუკავებელი ხარხარი ატყდა. დიახ, სკვაირს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, ვერ იხალისა თავისი ახალი ქორწინებით, ამბობენ, მას შემდეგ თავში აზრადაც არ მოსვლია ახალგაზრდა ქალიშვილებთან არშიყობა.

ინგლისურიდან თარგმნა
**გიორგი ბატიაშვილმა**

მხატვარი **ნანა ბეჟანიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რამდენად ერთგული ხარ?

## ტესტი

*წარმოიდგინე, როგორ მოიქცეოდი შემდეგ სიტუაციებში*

შენი მეგობარი სხვა ქალაქში ან ქვეყანაში გადავიდა საცხოვრებლად თუ სასწავლებლად და შენ ის ძალიან დაგაკლდა. უკვე მისწერე მას რამდენიმე წერილი, მაგრამ პასუხი ვერ მიიღე. როგორ მოიქცევი?

ა) ძალიან გაბრაზებული ხარ მეგობარზე და გადაწყვიტე აღარ იმეგობრო მასთან, თუ არ ვუნდივარ, არც მე მჭირდებაო, ფიქრობ.

ბ) გესმის, რომ შენს მეგობარს უჭირს ახალ ქალაქთან, სკოლასთან, ახალ ადამიანებთან შეგუება, შეიძლება მოგწერა კიდეც პასუხი, მაგრამ ფოსტის ცუდი მუშაობის გამო მისმა წერილმა ვერ ჩამოაღწია, ალბათ ისევ მომწერსო, — ფიქრობ და მოთმინებით ელოდები მეგობრის საპასუხო წერილს.

გ) იმედს არ კარგავ, მაგრამ სხვა შენს მეგობრებს ეკითხები, მათთვის ხომ არ მოუწერია მას.

2. სკოლის დერეფანში შენ შეესწარი, როგორ აძაგებდნენ ვიღაცები შენს მეგობარს, მაგრამ მათ არ იციან, რომ შენ გესმის მათი საუბარი:

ა) შენ პირუჩუმრად გაერიდები იქაურობას, მეგობრის დაცვა აზრადაც არ მოგივა.

ბ) აუცილებლად გამოესარჩლები მეგობარს: „თქვენ მას ისე არ იცნობთ, როგორც მე და ამიტომ აძაგებთ, უფლება არა გაქვთ ასე ილაპარაკოთ მასზე“.

გ) მიუახლოვდები ბიჭებს, წყრომით შეხედავ მათ, მაგრამ არაფერს ეტყვი და უხმოდ გასცილდები.

3. ვიღაცამ, ვინც შენ ძალიან გიყვარს, ისეთი რამ ჩაიდინა, რომ წონასწორობა დაგაკარგვინა. როგორ მოიქცევი?

ა) თავს შეიკავებ, ვიდრე გაბრაზება არ გადაგივლის და გულახდილად ეუბნები შენს გამნაწყენებელს, რასაც ფიქრობ და განიცდი.

ბ) მაშინვე სხვას უყვები, როგორ მოგექცნენ და ხაზს უსვამ გამნაწყენებლის ბრალს.

გ) წყენას არ იმჩნევ, არც არავის უამბობ, როგორ უსამართლოდ მოგექცნენ, თუმცა იხსენებ ყველაფერს, რაც ამ ადამიანში არ მოგწონს და შენს ფიქრებში ეკამათები მას.

### შედეგები

**დაითვალე შენი ქულები. თუ შენ უპასუხე:**

1. ა) ***0 ქულა.*** შენ ისე ადვილად დანებდი! ასე როგორ შეიძლება? იქნებ შენი მეგობარი თავს მარტოდ გრძნობს და დარდობს. შენ როგორ იგრძნობდი თავს მის ადგილზე — ახალ ქალაქში, ახალ სკოლაში, უცხო ადამიანებს შორის?

**ბ) 10 ქულა.** შენ ნამდვილი მეგობარი ხარ, შეგიძლია არა მარტო შეინარჩუნო მეგობრობა, არამედ უფრო დაუახლოვდე მეგობარს, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ასობით კილომეტრი გაშორებთ.

**გ) 5 ქულა.** შენ ჩვეულებრივი ადამიანი ხარ, შენნაირები მრავლად არიან. კარგია, რომ იმედს არ კარგავ, მაგრამ შენს საუკეთესო მეგობარში ეჭვი რატომ შეგეპარა? იქნებ კიდევ ერთხელ გააანალიზო ეს სიტუაცია?

2. ა) **1 ქულა.** ყოველ შემთხვევაში შენ არ შეუერთდი იმ ჯგუფს, რომელიც შენს ამხანაგს აძაგებდა, მაგრამ ვიდრე თავად შეძლებ კარგი მეგობარი გახდე, დიდი გზა უნდა გაიარო.

**ბ) 10 ქულა.** ერთგულება და გაბედულება არ გაკლია! შენ ის მეგობარი ხარ, რომლის ყოლასაც ყველა ინდომებდა.

**გ) 5 ქულა.** ყველაფერი რიგზეა, შენ არ გაერიდე ძნელ სიტუაციას, და მაინც რატომ არაფერი თქვი?

3. ა) **10 ქულა.** ჭეშმარიტად ერთგული ადამიანი ხარ, იმათ რიცხვს განეკუთვნები, ვისაც ნებისმიერ ვითარებაში შეიძლება ენდო.

**ბ) 0 ქულა.** საშინელებაა! ეს როგორ ჩაიდინე? იცი, რომ მოგვეიანებით თავს ძალიან ცუდად იგრძნობ იმის გამო, რაც ჩაიდინე, მაგრამ სამწუხაროდ, ნათქვამს უკან ვეღარ დააბრუნებ.

**გ) 5 ქულა.** შენ უნაკლო ადამიანი არ გეთქმის, მაგრამ დასაწყისისთვის ესეც კარგია. ძალიან ძნელია თავი შეიკავო და არაფერი თქვა საწყენი მაშინ, როდესაც ბოლმა გახრჩობს. არსებობს იმის საფუძველი, რომ მომავალში მტკიცე ხასიათის ადამიანი დადგები.

**თუ საბოლოო ჯამში დააგროვე:**

***25-30 ქულა.*** *ერთგული ადამიანი ხარ და შენთან მეგობრობა ყველასთვის სასურველი და საამაყოა. გარდა ამისა, შენ შეგიძლია სხვებსაც დაეხმარო, ასეთივე ერთგულები გახდნენ.*

***15-21 ქულა.*** *არ ითქმის, რომ შენ აბსოლუტურად ერთგული ხარ, მაგრამ კარგი შესაძლებლობები გაქვს საიმისოდ, რომ ასეთი ადამიანი გახდე. იფიქრე ამაზე და გახსოვდეს, რომ ერთგულების გამოჩენა ყოველთვის არ არის ადვილი.*

***5-11 ქულა.*** *ჯერჯერობით შენი ერთგულება მაღალ დონეზე ვერ არის, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ ბევრი დიდი რამ ამქვეყნად ძალზე მოკრძალებულად იწყებოდა. ღრმად ჩაისუნთქე, გამბედაობა მოიკრიბე და მტკიცედ წარმოთქვი: „დღეიდან მოყოლებული, მე ერთგული ვიქნები!“ მთავარია, გადაწყვიტო. შენი მომავალი შენს ხელთაა!*

***0-1 ქულა.*** *შეიძლება შენთვის უმჯობესია მეტი დრო დაჰყო ხოლმე ძაღლთან, მას შეუძლია გასწავლოს თუ რა არის ერთგულება. დაფიქრდი, მართლა გინდა, ერთგული ადამიანი გახდე? ამის გაკეთება მაშინაც კი შეგიძლია, თუ ადრე ეს თვისება საერთოდ არ გაგაჩნდა. და რაც მთავარია, გახსოვდეს, თუ გინდა, რომ კარგი ჩვევები გამოიმუშაო, ამას დღესვე უნდა შეუდგე.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი თქვენგანი

## ეკა ბარამიძე

ინგლისური ენის სწავლას ლანჩხუთის №1 საშუალო სკოლაში მეორე კლასიდან იწყებენ. ეკაც მეორე კლასში იყო, როდესაც პედაგოგმა ლალი მშვიდობაძემ სხვა



ბავშვებთან ერთად შექსპირისა და ბაირონის ენის ანბანას აზიარა. ორ-სამ წელიწადში კი ნიჭიერი და მუყაითი გოგონა იმდენად კარგად დაეუფლა ინგლისურს, რომ დამოუკიდებლად თარგმნიდა ინგლისურენოვანი პოეზიისა და პროზის ნიმუშების ნაწყვეტებს, მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებშიც სწორედ უცხო ენების სექციის ხაზით მონაწილეობს და მუდამ უმაღლეს შეფასებას იმსახურებს. ნებისმიერი ენიდან თარგმნა, მარტო დედნის ენის ზედმიწევნით ცოდნას არ მოითხოვს, აქ აუცილებელია იმ ენის მდიდარი ლექსიკური მარაგის ფლობაც, რომელზეც ეს ნაწარმოები ითარგმნება და რაღა თქმა უნდა, საჭიროა ლიტერატურული ნიჭი, განსწავლულობა, წიგნიერება და კიდევ სათარგმნელი ავტორის შემოქმედების თავისებურებების ღრმა ცოდნა და სიყვარული. ეკამ ეს იცის და ამიტომაც ბევრს კითხულობს, მუშაობს საკუთარ თავზე, გულდადებით მეცადინეობს, გამუდმებით იმდიდრებს ცოდნას. ასეთი შრომა-გარჯის შედეგსაც შესაფერისს იმკის – 2004 წელს მან საუკეთესო მთარგმნელის გამოსავლენად გამართულ მოსწავლეთა რესპუბლიკურ კონკურსში გაიმარჯვა და საქართველოს განათლების სამინისტროს ჰარმონიული განვითარების ცენტრის დიპლომი დაიმსახურა. ერთ-ერთი საუკეთესი იყო იგი საქართველოს მილსადენის კომპანიის და ლანჩხუთის №4 სკოლის ერთობლივ კონკურსშიც „ჩვენ და უცხოური ენები“...

თუმცა დროისა და ყურადღების უმეტეს ნაწილს ეკა ინგლისურს უთმობს, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მას სხვა ინტერესები და გატაცებები არ ჰქონდეს.

ეკამ სამუსიკო სკოლაც დაამთავრა (პედაგოგები დღესაც კი, რომ შეხვდებიან, წყენას არ მალავენ და საყვედურობენ, რატომ არ გინდა მუსიკის ხაზით გააგრძელო სწავლაო) და ქორეოგრაფიული სტუდიაც, ამასთან ერთგანაც და მეორეგანაც ერთ-ერთი საუკეთესო იყო (2001 წ. მსოფლიო საერთაშორისო ფოლკლორული ფედერაციის „სიოფ“-ის ქართული ხალხური ცეკვის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლების რესპუბლიკურ კონკურსში ეკამ III პრემია და დიპლომი დაიმსახურა).

მეშვიდე კლასში რომ იყო, ეკამ წმ. იოანე ნათლისმცემლის სახ. გიმნაზიის მიერ ჩატარებულ კონკურსზე წარდგენილი თემისათვის „წმინდა გიორგი და საქართველო“ სიგელი დაიმსახურა, ხოლო მისი მონაწილეობა თხზულებათა კონკურსში „მე რომ მშვიდობის ელჩი ვიყო“ (2002წ) სერტიფიკატის მიღებით დაგვირგვინდა. ეკა ლექსებსა და ლამაზ-ლამაზ ჩანახატებს წერს.

ამჟამად ეკა მეათე კლასის მოსწავლეა და უფრო იქით იხრება, რომ უცხო ენებს გაჰყვება, თუმცა შეიძლება იმ მოკლე დროშიც, რაც სკოლის დამთავრებამდე დარჩა, სხვა გადაწყვეტილება მიიღოს და სულ სხვა სფერო აირჩიოს მომავალი საქმიანობისათვის. ამას მომავალი გამოაჩენს. ერთი რამის თქმა კი დღესაც თამამად შეიძლება – რაც არ უნდა აირჩიოს ამ ნიჭიერმა, წინმსწრაფმა და გამრჯე გოგონამ, მისი მოღვაწეობა-საქმიანობა უთუოდ სასიკეთოდ წაადგება ჩვენს ქვეყანას და ხალხს.

## ბაჩანა ნარმანია

ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკში მეათეკლასელ ბაჩანა ნარმანიას ყველა პა-



ტივს სცემს – დიდიც და პატარაც, ყველას უყვარს ეს გონიერი, ნიჭიერი, შრომისმოყვარე და ცოდნას მოწყურებული ყმაწვილი – მეგობრებსაც, მასწავლებლებსაც და მეზობლებსაც, ადგილობრივი გამგებელი ჯამბულ დადიანიც განსაკუთრებულ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენს მის მიმართ. ყველა მათგანს კი იმედი აქვს, რომ სულ რამდენიმე წელიწადში ბაჩანა იმ ახალგაზრდების რიგებში ჩადგება, რომლებმაც საკუთარი მხრებით უნდა ზიდონ ქვეყნის აღორძინება – აყვავების მძიმე ტვირთი. მაინც რა აძლევს ამ ადამიანებს ასეთ რწმენას, რით დაიმსახურა ბაჩანა ნარმანიამ თანასოფლელთა ასეთი დამოკიდებულება? დავიწყოთ სკოლით – აქ იგი ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლეა, ყველა საგანს ერთნაირი წარმატებით სწავლობს, განსაკუთრებით ძლიერი კი მათემატიკაში, ქიმიაში და ქართულ ენასა და ლიტერატურაშია. პედაგოგებიდან განსაკუთრებით კლასის დამრიგებელი და მათემატიკის მასწავლებელი მაია გაბუნია და სკოლის დირექტორი დალი ჩიქავა უყვარს, დიდ პატივს სცემს პირველ მასწავლებელს ლუნა ხუბულავას.

მეშვიდე კლასიდან დაწყებული, ბაჩანა ყოველ წელს მონაწილეობს მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით რესპუბლიკურ კონფერენციებში. ყოველ მორიგ კონფერენციაზე წარსადგენ თემაზე მუშაობისას ისე გულმოდგინედ და სერიოზულად, ისე ღრმად და ყოველმხრივ სწავლობს განსახილველ საკითხს, რომ ყოველი მისი ნამუშევარი ლამის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებელ ნაშრომს უტოლდება. უფრო მშობლიური კუთხის, სამეგრელოს ეთნოგრაფიასთან დაკავშირებული საკითხებით არის დაინტერესებული. მისმა პირველმა საკონფერენციო თემამ „ზედაშე ოხვამერები“ (სალოცავები) მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის სიგელი დაიმსახურა, მომდევნო კონფერენციისთვის ნორჩმა ეთნოგრაფმა სამეგრელოში მემინდვრეობის კულტურა აირჩია, და ამჯერად მისი ნაშრომი I ხარისხის დიპლომით აღინიშნა. შარშანდელმა თემამ „მეგრული შელოცვები“ განათლების სამინისტროს სიგელი მოუტანა. წლევანდელ, 59-ე კონფერენციისთვის ბაჩანამ სამეგრელოში ტრადიციული კვებითი კულტურის საკითხები აირჩია. მან ამჯერადაც დიდი მუშაობა გასწია – გაეცნო დიდძალ ლიტერატურას, ესაუბრა ზუგდიდის რაიონის რამდენიმე სოფლის უხუცესებს, ჩაიწერა მათი მონათხრობი, მერე კი შეგროვილი მასალა თავისი თვალთახედვით განიხილა, განაზოგადა, საკუთარი მოსაზრებები და კომენტარები დაურთო და ერთ სრულყოფილ ნაშრომად ჩამოაყალიბა, რომელმაც კიდევ ერთი გამარჯვება მოუტანა. ბაჩანა იმდენად კარგად იცნობს მშობლიური კუთხის ტრადიციულ ყოფას, რომ ზოგჯერ უფროსებსაც კი მორიდებით შეუსწორებს ხოლმე, ეს ასე კი არა, ასე უნდაო.

ბაჩანას ერთი შავი ცხენი ჰყავს, ლამაზი და გონიერი, რომელსაც თვითონვე უვლის, სიამოვნებით აჭენებს ხოლმე, ხოლო როცა სხვა გზა არ არის, ზოგჯერ ტვირთსაც აზიდინებს.

თუმცა გარკვეული ინტერესები უკვე ჩამოუყალიბდა, ბაჩანას ჯერ არ გადაუწყვეტია, რომელ პროფესიას აირჩევს, მაგრამ ყველა, ვინც მას იცნობს, დარწმუნებულია (და მას შემდეგ, რაც ბაჩანა გავიცანით, მათ რიცხვს ჩვენც შევუერთდით), რომ იგი სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს და იმ ასპარეზს აირჩევს საქმიანობისთვის, სადაც სრულად გამოვლინდება მისი ცოდნა, ნიჭი, უნარ-შესაძლებლობები და შრომისმოყვარეობა, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის, ხალხის კეთილდღეობას მოხმარდება.

# ვინ? რა? როგორ? რატომ? სად? როდის? რამდენი?

## რატომ დაერქვა აღდგომის კუნძულს ეს სახელი?

წყნარი ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ჩილეს კუთვნილ ამ კუნძულს ადგილობრივი მოსახლეობა რაპა ნუის ან კიდევ ტეპიტო-ო-ტეხენუას ეძახის, ჰოლანდიელმა ზღვა-



ოსანმა იაკობ როგევენმა კი, რომელიც სწორედ აღდგომა დღეს, 1722 წლის 5 აპრილს გადააწყდა მას, აღდგომისა უწოდა. კუნძულის მკვიდრმა მოსახლეობამ თავის სამშობლოს მესამე სახელიც შეურჩია – მატა-კი-ნაგე-ოკო, რაც „ცაში მზირალებს“ ნიშნავს. ცაში ამ იდუმალ კუნძულზე, ოკეანის ნაპირზე გამწკრივებული 40 მეტრის სიმაღლის 80 ტონიანი ქვის კერპები იმზირებიან. ვინ და რატომ გამოკვეთა ისინი ქვაში 2000 წლის წინათ, დღესაც არავინ იცის.

## რას ნახავდნენ კოსმონავტები შავ ხვრელში?

შავი ხვრელის ზედაპირზე დრო საოცრად სწრაფად გარბის. მაგრამ ასე მხოლოდ იმ ადამიანს ეჩვენება, რომელიც შორიდან ადევნებს მას თვალს. შავი ხვრელის შიგნით მოხვედრილ კოსმონავტებს კი, პირიქით, მოეჩვენებოდათ, რომ გარე სივრცეში დრო დაჩქარებულად გადის და წამში აღწევს „ყველა დროის ბოლოს“. მაგრამ ისინი ამის გაფიქრებასაც კი ვერ მოასწრებდნენ: შავ ხვრელში კოსმონავტებიც და მათი რაკეტებიც მყისვე არამცთუ ატომებად, არამედ პროტონებად, ნეიტრონებად და ელექტრონებად დაიშლებოდნენ.

## რატომ ვსლოკინებთ?

მეცნიერებმა ახლახან დაადგინეს, რომ სლოკინი ის მემკვიდრეობაა, რომელიც ადამიანებს გვერგო ჩვენი შორეული წინაპრებისგან, რომლებიც ლაყუჩებით სუნთქავდნენ. მიზეზი კუნთების უეცარი შემცირებაა, რომლებიც ადრე სუნთქვისთვის გამოიყენებოდა, ახლა კი სრულიად უმაქნისია. ამჟამად ასეთი კუნთები მხოლოდ რამდენიმე ისეთ ცხოველს გააჩნია, რომელსაც, ლაყუჩებიც აქვს და ფილტვებიც, მაგალითად, ორგვარად მსუნთქავ თევზებს. ადამიანს, მოგეხსენებათ ლაყუჩები არა აქვს, მაგრამ როგორც ჩანს, ტვინის ის მონაკვეთი, რომელიც პასუხისმგებელია ვენტილაციაზე, დღემდე შემორჩა.

## როგორ ამზადებენ სუნამოებს?

სუნამოებს პარფიუმერები ქმნიან, ხშირად მათ კომპოზიტორებსაც უწოდებენ, ოღონდ ისინი მუსიკას კი არ ქმნიან, არამედ სურნელებს. პარფიუმერმა აუცილებლად უნდა იცოდეს ქიმია და ბოტანიკა და იმავე დროს მას მახვილი ყნოსვაც უნდა ჰქონდეს, რათა ასობით სუნის გარჩევა შეეძლოს. ახალი სუნამოს შესაქმნელად იგი საჭირო სურნელოვან ნივთიერებებს ირჩევს, ერთმანეთში ურევს, სპირტში აზავებს და ცოტა წყალს უმატებს. ეს ნაზავი რამდენიმე კვირის განმავლობაში „მწიფდება“, მერე მას ფილტრავენ და ფლაკონებში ასხამენ. ადრე სუნამოების დასამზადებლად მხოლოდ ბუნებრივ სურნელებს იყენებდნენ (ვარდის ზეთი, სურნელოვან მცენარეთა ნაყენები) დღეს კი ხელოვნურ სუნებსაც იყენებენ.

## რა განსხვავებაა ჯადოქრობასა და მაგიას შორის?

არავითარი. მართალია, თავიდან ძველი ბერძნები მაგიას მკითხაობისა და ასტროლოგიის დროს გამოყენებულ რიტუალებს ეძახდნენ, მაგრამ შემდგომში ამ სიტყვამ ისეთივე მნიშვნელობა შეიძინა, როგორიცაა ჯადოქრობა, გრძნეულობა და კუდიანობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გიორგი ცუხიშვილი



გიორგი საჩხერის რაიონის სოფელ ჩიხის საშუალო სკოლის III კლასის მოსწავლეა. გარდა იმისა, რომ გიორგი ფრიადოსანი მოსწავლეა, მის მოკრძალებულ შემოქმედებას იცნობენ, როგორც მშობლიურ სკოლაში, ასევე რაიონში. უყვარს კითხვა, ხატვა, წერს ლექსებს, ადგენს კროსვორდებს და გამოცანებს, არის ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილ სარაიონო კონკურსში ორგზის გამარჯვებული „ასფალტზე ხატვაში". საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს, გიორგიმ საკუთარი ლექსი წაიკითხა და რაიონის გამგებელთან ერთად სამახსოვრო სურათიც გადაიღო, რითაც ძალიან ამაყობს.




„ჩემი ოცნებაა გამოვიდე სამშობლოს დამცველი", – ამბობს გიორგი. ძალიან მოსწონს ეროვნული გვარდიის ფორმა, ბიძის ნაჩუქარ გვარდიელის ფორმას „განსაკუთრებულ" დღეებში იცვამს. ხელში თვითნაკეთ ხის თოფს დაიჭერს და ოცნებობს... მაინც რაზე ოცნებობს „პატარა ჯარისკაცი"? რაზე და მშვიდობაზე, მშობლიური ხალხის კეთილდღეობაზე, ბედნიერ საქართველოზე.

### საყვარელ მასწავლებელს

მე მსურს, რომ მოგართვათ  
ბუნების ნაქარგი.  
პატარა ლამაზი,  
მრავალი ყვავილი,  
თან მსურს, რომ გისურვოთ  
სიცოცხლე ხანგრძლივი,  
სიცოცხლე ლამაზი,  
ვით ვარდის ყვავილი.

## ცოტნე ნატროშვილი

სკოლამდელ ასაკში პატარა ცოტნეს ბებო ძილის წინ ყოველთვის უკითხავდა ზღაპარს. სწორედ ზღაპრების სიყვარულისა და ლია ბებოს წყალობით აღმოჩნდა ცოტნე ქვემო ქართლის ტელევიზიის საბავშვო პროექტის მონაწილეთა შორის. ნიჭიერმა ბიჭუნამ ზღაპრის სიყვარულითა და ლია ბებოს ინიციატივით ზღაპრულ სამყაროშიც ძაღლის როლიც შესანიშნავად მოირგო და ტელევიზიით საკუთარი თავის ხილვამაც საკმაოდ გაახალისა. მას შემდეგ პატარა ცოტნე ხშირად ბაძავს მსახიობებს. ძალიან მოსწონს შაბათის შოუს მონაწილენი და ვანო ჯავახიშვილის იმიტირებით ოჯახის წევრებს ამხიარულებს.



ცოტნე რუსთავის №3 რუსული სკოლის მეორეკლასელია, წარმატებით სწავლობს.

უკვე არაერთი რუსული ლექსი იცის, თამამად მეტყველებს ამ ენაზე და რუს ბავშვებთანაც ხალისით ერთობა.

პატარა ცოტნეს უყვარს ცეკვა, მუსიკა, სპორტი. სიამოვნებით უსმენს ლექსებს, კითხულობს ლექსებს ქართულ და რუსულ ენებზე და სხვადასხვა სახის კონსტრუქტორებსაც მარჯვედ აწყობს. კომპიუტერთანაც გაშინაურებულია, გარდა თამაშებისა, კომპიუტერით ხატვა და ტექსტის აკრეფაც შეუძლია.

სულ ახლახან ცოტნე ცურვის შემსწავლელ წრეზე შეიყვანეს. ცურვისა რა ვთქვა, მაგრამ მსახიობი ან მომღერალი კი კარგი დადგებოდა, – ამბობს ლია ბებო, – გაჩერებულს ვერ ნახავთ, სულ მიკროფონი უჭირავს და მღერის ან თეატრალურ სცენებს გეიწყობს.

მშობლებს ცოტნე ხშირად დაჰყავთ ზოოპარკში, ცირკში, თეატრში. მიღებულ შთაბეჭდილებებს კი იგი უმცროს და-ძმას უზიარებს. საერთოდ, როგორც დედმამიშვილებში უფროსი, უმცროსებზე მუდამ ზრუნავს, ძალიან უნდა გიორგის ანბანი ასწავლოს, მას კი თამაში ურჩევნია და პატარა ქეთისთან უფრო პოულობს საერთო ენას.

### ჩვენი ცხოვრება



ფიფქები ცვივა უღრუბლო ციდან,  
ნელ-ნელა მიწა შავი თეთრდება  
და როგორც თოვლი, ისიც ქათქათა,  
უცოდველი და უბიწო ხდება.  
მაგრამ ეს ქარი როგორ უხეშად  
წამოუბერავს, წამოშლის ფიქრებს,  
სიხარული და ბედნიერება  
სადღაც გაჰყვება უძირო ნისლებს.  
კვლავ ჩამოწვება შავი ღრუბელი,  
მზის სხივი ვეღარ გაჭრის ცის კიდეს,  
დაისადგურებს იდუმალება  
და აი, აი დაღამდა კიდეც.  
ოჰ, უკუნეთი ეს ბნელი ღამე,  
ხანდახან როგორ უმოწყალოა,  
გტანჯავს და გტანჯავს,  
არ შეგიცოდებს,  
ნათელი დილა სანამ არ მოვა.  
კვლავ დილა, კვლავ მზე, კვლავ სხივი წრფელი,  
კვლავ ნისლი, ბინდი და ღამე ბნელი.  
გრძელდება ასე დაუსრულებლად  
თვეობით, წლობით ცხოვრება ჩვენი!

**სალომე კიკალიშვილი,**  
**თბილისის 51-ე საშუალო სკოლა, X კლასი.**

# კითხვა — თქვენი

*მაინტერესებს ვინ იყო ნოსტრადამუსი?*
*კესო კარგარეთელი, 14 წლის თბილისი*

ნოსტრადამუსი ლათინიზირებული გვარია ფრანგი მიშელ დე ნოსტრადამისა. მისი პაპა გაი გასონეტი ესპანეთიდან საფრანგეთში მას შემდეგ გადმოსახლებულა, რაც ესპანეთის ხელისუფალთ ქვეყნის დატოვება მოუთხოვიათ ყველა ებრაელისთვის, ვინც გაქრისტიანება არ მოინდომა. მე-15 საუკუნეში ესპანეთიდან დევნილები საფრანგეთის სამხრეთში, პროვანსში დასახლებულან. მიშელს განათლება დედის დახმარებით მიუღია, მოგვიანებით ცოდნას მოწყურებულ ჭაბუკს ლამის ნახევარი ევროპა შემოუვლია, ბევრი რამ უსწავლია და ბოლოს ალქიმიით დაინტერესებულა, ტყვიისგან ოქროს მისაღებად არა ერთი ლაბორატორიული ცდაც ჩაუტარებია...

საფრანგეთში დაწყებულმა ჟამიანობამ ნოსტრადამუსის ოჯახსაც დიდი უბედურება მოუტანა — შავმა ჭირმა მისი ცოლ-შვილი იმსხვერპლა, მაშინ მიშელმა ბრძოლა გამოუცხადა ამ საშინელ სენს და გამარჯვებასაც მიაღწია. ყველას გასაოცრად, ქ. ექსში, სადაც ნოსტრადამუსი მივიდოდა, შავი ჭირი უკან იხევდა, უამრავი ადამიანი გადაურჩა ათი ათასობით სიცოცხლის მსახვრალ ამ დაავადებას. სწორედ მაშინ წარმოუთქვამს დიდ წინასწარმეტყველს შემდგომში ფრთიან ფრაზად ქცეული სიტყვები: „დაავადებას მაშინ კი არ უნდა ვებრძოლოთ, როდესაც გაჩნდა, არამედ მანამ, სანამ გაჩნდება“. ქალაქ ექსის მოსახლეობამ იგი გმირად შერაცხა და სამუდამო პენსია დაუნიშნა, მაგრამ ნოსტრადამუსმა ფულზე უარი თქვა და მთელი თანხა ქვრივობლებს დაურიგა. სენთან ბრძოლისას მან გაიცნო ქვრივი ქალი ანა პონსარი და ცოტა ხანში დაქორწინდა მასზე. ამის შემდეგ მან ექიმობას თავი დაანება და ხელი მოჰკიდა იმას, რაც ყველაზე მეტად აინტერესებდა ხალხს — მომავლის განჭვრეტას, მკითხაობა დაიწყო. 1550 წელს მან გამოსცა პირველი წიგნი — „ალმანახი“. მალე ნოსტრადამუსს მთელ საფრანგეთში გაუვარდა სა-



ხელი. 1556 წელს ეკატერინე მედიჩიც დაინტერესდა, იგი ლუვრში მიიწვია და სთხოვა მისი ოთხივე ვაჟისთვის ემარჩიელა. ნოსტრადამუსმა ყოველ მათგანს ტახტზე თითოჯერ ასვლა უწინასწარმეტყველა. დედოფალს ეს სასაცილოდ არ ეყო. გავიდა ხანი და წინასწარმეტყველის სიტყვები ახდა. იგი სამეფო ოჯახის ექიმად მიიწვიეს. ნოსტრადამუსის ბევრი წინასწარმეტყველება ახდა. მათგან განსაკუთრებულად რამდენიმეს გამოვყოფენ:

„ციდან ჩამოვა ცეცხლი, რომელიც იქნება მომაკვდინებელი, იქნება ბუღი, აგორდება ტალღები, გაჩნდება ცეცხლი, მტერს უხარია“. მეცნიერები ამას ატომური ბომბის ჩამოგდებს უკავშირებენ.

„ოქტომბრის თვეში მოხდება დიდი ცვლილებები. აშენდება ახალი ბაბილონი, რომელიც იარსებებს 73 წელსა და 7 თვეს. გაგიჟებული ადამიანი თავის მსგავსებს შემოიკრებს. შემდეგ კი მოვა ძალა, რომელიც ყველაფერს დაანგრევს. მიწა ნაწილებად გაიყოფა“.

მკვლევართა აზრით, ნოსტრადამუსმა 73 წელსა და 7 თვეში საბჭოთა კავშირი იგულისხმა, გაგიჟებულ ადამიანში — ლენინი, აწეულ ხელებში — ნაცისტები.

ნოსტრადამუსის 72-ე ცენტურიში ნათქვამია „ახალი ათასწლეულის მეცხრე თვეში ციდან ჩამოვა შიშის ღმერთი. იგი გაიხსენებს მონღოლების ძლიერებას და უბედურებას მოუტანს ბედნიერ ქვეყანას“.

დიდი წინასწარმეტყველის ამ სიტყვებს შეერთებულ შტატებში თერთმეტ სექტემბერს მომხდარ ტერაქტს უკავშირებენ.

გარდაცვალების წინა ღამით მდივანს დამშვიდობებისას ნოსტრადამუსისთვის ძილინებისა რომ უსურვებია, დიდ წინასწარმეტყველს უპასუხია:

ჩემთვის დილა აღარ გათენდებაო. იგი იმავე ღამეს გარდაიცვალა. ნოსტრადამუსის ანდერძით იგი კი არ დამარხეს, არამედ ფეხზე მდგომი შეასვენეს კედელში, „ფეხზე მდგომი დამმარხეთ, რათა განსჯის დღეს ფეხზე მდგომი შემხვდე“, - დაუბარებია წინასწარმეტყველს.

# პასუხი — ჩვენი

# უნდა გაგაოცოთ

## სპილოების ორკესტრი ახალ დისკს ჩაწერს

ტაილანდის ქალაქ ლამპანგში დიდი წარმატებით სარგებლობს სპილოების ორკესტრი. 11 მუსიკოსისგან შემდგარ ორკესტრში ერთადერთი არასპილოა დირიჟორი რიჩარდ ლეირი. საკრავებს ამ უჩვეულო მუსიკალური კოლექტივისთვის სპეციალურად ამზადებენ



შემსრულებელთა ზომების გათვალისწინებით. იმავე მიზეზით რეპეტიციები ტარდება არა რომელიმე დარბაზში, არამედ პარკის წინ მდებარე გაშლილ მინდორზე, დირიჟორი კი ერთ-ერთი მუსიკოსის ზურგზე იკავებს ადგილს. სპილოებმა ნოტები არ იციან და მხოლოდ სმენით უკრავენ. ამჟამად უჩვეულო ორკესტრი მეორე დისკის ჩასაწერად ემზადება.

## ჩინელების ყინულოვანი ველოსიპედი

ჩინეთში გამოჩნდა ყინულზე საციგურაოდ განკუთვნილი ველოსიპედი, რომელმაც უმალ მოიპოვა



უდიდესი პოპულარობა. წინა ბორბლის ნაცვლად ველოსიპედს ციგურა, უფრო სწორად, თხილამური აქვს, უკანა ბორბალზე კი – კოტებიანი რეზინი. ასე რომ, ამიერიდან ჩინელები, რომლებიც ყველგან და ყოველთვის ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა ტრანსპორტით – ველოსიპედით დადიან, გაყინული ზედაპირებისთვის განკუთვნილი ველოსიპედებითაც შეძლებენ სარგებლობას.

## შუშის ხიდი კოლორადოს თავზე

მალე აშშ-ში, მდინარე კოლორადოს დიდი კანიონის 1,2 კილომეტრის სიღრმის უფსკრულის თავზე შუშის ხიდი აიგება. ნალის მოყვანილობის ხიდი კლდიდან 20 მეტრის სიგრძეზე იქნება გამოშვერილი და მას ერთდროულად 120 ტურისტის მიღება შეეძლება. ნაგებობა ისეა გათვლილი, რომ გაუძლებს 8 ბალიან მიწისძვრას და 160 კმ/სთ სიჩქარით მქროლავ ქარებს. ახალი ატრაქციონის შემქმნელები დარწმუნებულები არიან, რომ 25 დოლარად შუშის ხიდიდან გადახედვის მსურველები მრავლად გამოჩნდებიან.



## ტრანსატლანტიკური იხვი

ჰოლანდიელი მხატვარი და მოქანდაკე ფლორენტინ ჰოფმანი 26 მეტრის სიგრძის ყვითელი რეზინის იხვის ჭუჭულის შექმნაზე მუშაობს. ავტორის ჩანაფიქრით, გიგანტურ ჭუჭულს ატლანტის ოკეანეში ჩა-



უშვებენ და ტალღებს მინდობილი ეს უცნაური ქმნილება მთელ მსოფლიოს შემოივლის ცურვით და უამრავ ადამიანს გაახალისებს.

## დედამიწა სატურნად გადაიქცევა

ამერიკელმა მეცნიერებმა გლობალური დათბობის საწინააღმდეგო საშუალება გამოიგონეს. მათი აზრით, დედამიწა სატურნის მსგავს პლანეტად უნდა გადაიქცეს, ანუ დედამიწის გარშემო ხელოვნური რგოლი



უნდა შეიქმნას, ამისთვის კი კოსმოსში მილიარდობით ქვის გაშვება იქნება საჭირო. ქვების რგოლი ეკვატორის რაიონში ჩრდილს შექმნიდა და ჰაერის საშუალო წლიურ ტემპერატურას დაახლოებით ორი გრადუსით დასწევდა დაბლა. იდეის ავტორთა გამოთვლით, მზისგან დამცავი „ქოლგა“ რამდენიმე ტრილიონი დოლარი დაჯდება.

# რა არის ბანკი? ვინ არის ბანკირი?

ბანკი, ბანკირები, საბანკო საქმიანობა — ეს გამოთქმები სულ ახლახან შემოვიდა ჩვენი საზოგადოების აქტიურ ლექსიკონში. მისი ჭეშმარიტი გაგებით ეს საქმე ჩვენთვის, შეიძლება ითქვას, სულ ახალია. ისევე, როგორც სხვაც ბევრი რამ, რეფორმებმა, სულ სხვა ლიანდაგებზე გადასულმა ცხოვრებამ რომ მოიტანა ჩვენში.

ვნახოთ, რა არის ბანკი, ვინ არიან ბანკირები, რა საქმიანობას ეწევიან ისინი. თვალი გადავავლოთ ამ საქმის ჩასახვა-განვითარების მთავარ ეტაპებს.



იტალიურ ენაში სიტყვა banco დახლს, მერხს, სავაჭროს ნიშნავს, ლექსიკონებში კი სიტყვა „ბანკი" ასეა განმარტებული — განსაკუთრებული ეკონომიკური ინსტიტუტი, რომლის ძირითადი ფუნქციებია: ფულადი სახსრების თავმოყრა, კრედიტების გაცემა, ფულადი ანგარიშსწორებები, მიმოქცევაში განსაზღვრული სახეობისა და რაოდენობის ფულის გაშვება, ფასიანი ქაღალდების ემისია და სხვ. შესაბამისად, და ბანკირი ბანკის პატრონს ან მის მსხვილ აქციონერს ჰქვია.

ფუნქციებისა და ხასიათის მიხედვით არსებობს შემდეგი სახეობების ბანკები: ცენტრალური საემისიო, კომერციული, საინვესტიციო, შემნახველი, სპეცდანიშნულების (იპოთეკური, საგარეო ვაჭრობის, სასოფლო-სამეურნეო და სხვ)ბანკებს საკუთრების ფორმის მიხედვით ანსხვავებენ. არსებობს სააქციო, კოოპერაციული, მუნიციპალური, სახელმწიფო, კომუნალური, შერეული, სახელმწიფოთაშორის ბანკები, აგრეთვე, საბანკირო სახლები.

ბანკი საქონლურ-ფულად ურთიერთობათა განვითარების შედეგად წარმოიშვა.

ისტორიულად ბანკირები გამოვიდნენ ზარაფების წრიდან, რომლებიც ეწეოდნენ ფულით ვაჭრობას, კერძოდ, ადგილობრივი ფულის უცხოურ ფულზე გაცვლას. თავდაპირველად მათი ზარაფებისაგან განსხვავება მდგომარეობდა მხოლოდ იმაში, რომ გადახდებთან დაკავშირებულ შუამავლობასთან ერთად ისინი ფულადი სესხების გაცემასაც ეწეოდნენ. ბანკირები შორეულ წარსულში გაჩნდნენ. მაგალითად, ჩვ.წ.აღ-მდე VII-V საუკუნეებში ბაბილონში უმდიდრესი ბანკირები იყვნენ ვაჭრები, იგიბი და მურაშუ. ჩვ.წ.აღ-მდე IV საუკუნის ათენში მდიდარი ბანკირი იყო პასიონი, რომელიც იმავე დროს იყო ვაჭარი და სახელოსნოს მფლობელი. ძვ. რომში ბანკირებს შორის უკვე გაჩნდა გარკვეული სპეციალობები, გაჩნდნენ მენსარიები, არგენტარიები და ნუმულარიები.

მენსარიების სახელწოდება წარმოდგა სიტყვიდან „mensa" — მაგიდა, რომელთანაც ისინი აწარმოებდნენ თავიანთ ოპერაციებს. მენსარიები ეწეოდნენ ფულით ვაჭრობას, ანაბრების მიღებას და სესხის გაცემას. საბანკო წარმოების განვითარებასთან ერთად მენსარიებს შორის ხდებოდა სპეციალიზება და ისინი დაიყვნენ არგენტარიებად და ნუმულარიებად. არგენტარიები ახდენდნენ ანაბრების მიღებას, სესხების გაცემას და თავიანთ კლიენტებს შორის უნაღდო ანგარიშსწორებას, ხოლო ნუმულარიები — ადგილობრივი მონეტების უცხოურ მონეტებზე გადაცვლას. ისინი უპირატესად სოვდაგრებს ემსახურებოდნენ, რომლებიც უცხო ქვეყნებში ეწეოდნენ ვაჭრობას.

იტალიელი ბანკირები იღებდნენ ანაბრებს ვაჭრებისაგან და გასცემდნენ სესხებს უმთავრესად სახელმწიფოზე და ნაწილობრივ სოვდაგრებზე ზღვის გაღმა ქვეყნებში ვაჭრობის საწარმოებლად. XIII საუკუნეში როგორც ბანკირებმა დიდი აღიარება ჰპოვეს ლომბარდიელმა ვაჭრებმა, ხოლო XIV საუკუნეში — ვენეციელებმა, კერძოდ, სარანცომ, გარკონიმ, პიზანიმ, ვერუციმ, პრიულიმ, ბარდიმ, ჩიერამ და სხვებმა. მათი საქმიანობა ვენეციაში კანონით იყო რეგლამენტირებული, მაგალითად, 1270 წლის კანონის საბანკო საქმიანობის უფლებას მხოლოდ იმ პირებს აძლევდა, რომლებიც გირაოდ შეიტანდნენ 3000ლირას, 1318 წელს გირაოს მოცულობა გაიზარდა 5000 ლირამდე; 1403წლის კანონმა შეზღუდა ბანკირების სავაჭრო

ბრუნვები. ამ კანონების მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ ბანკირებს სახელმწიფოსთვის ფულადი სესხები გაეზარდათ.

შუა საუკუნეების ბანკირები თავიანთი რესურსების იმდენად ვაჭრობის დასაკრედიტებლად არ იყენებდნენ, რამდენადაც სახელმწიფოზე სესხის გასაცემად. ხშირად მთავრობები არ აბრუნებდნენ სესხებს და ბანკირები კრახს განიცდიდნენ. კოტრდებოდნენ. 103 ვენეციელი ბანკირიდან 96 ბანკირი 1584 წლისათვის გაკოტრდა.

კაპიტალისტური ტიპის ბანკირები, რომლებიც გაჩნდნენ ინგლისში XVII საუკუნის დამლევს, ვაჭარი და მრეწველი მეწარმეების დაკრედიტებას ეწეოდნენ. კაპიტალიზმის განვითარების კვალობაზე სააქციო ბანკებმა და მსხვილმა საბანკირო სახლებმა თანდათან შეავიწროვეს წვრილი და საშუალო ბანკირები.

საბანკირო სახლები, ანუ კანტორები წარმოადგენდნენ ცალკეულ ბანკირებისა ან ბანკირთა ჯგუფის კუთვნილ საბანკო საწარმოებს, რომლებიც აგერთიანებულნი არიან ამხანაგობებში განუსაზღვრელი პასუხისმგებლობით. შუა საუკუნეებში იტალიელი ვაჭრების ბარდის, პერუჩის, ალბერტის, მედიჩისა და სხვათაგან წამოიწიენენ იმ დროისათვის, რომლებიც გასცემდნენ მნიშვნელოვან სესხებს მეფეებსა და რესპუბლიკებზე. მსხვილი სავაჭრო ტიპის საბანკო სახლები, მაგალითად, XIV საუკუნის შუა ხანებში ინგლისის მეფე ედუარდ მესამემ ბარდისაგან მიიღო 900 ათასი ფლორინის სესხი, ხოლო პეტრუჩისაგან 600 ათასი ფლორინი.



XVI საუკუნეში მსხვილი საბანკო სახლის როლს ასრულებდა ფუგერების სავაჭრო კომპანია, რომელმაც 1527 წელს სესხებში დააბანდა 1,7 მილიონი ფლორინი, 1536 წელს – 2,3 მილიონი ფლორინი, ხოლო 1563 წელს – 5,3 მილიონი ფლორინი. კაპიტალისტური საბანკო საქმის ჩასახვის პერიოდში საბანკირო სახლები აღმოცენდა სავაჭრო ფირმებიდან, რომლებიც თავდაპირველად მხოლოდ ვაჭრობას ეწეოდნენ. შემდეგ ვაჭრობას მიუსადაგეს ბანკირის ოპერაციები და ბოლოს მთლიანად გადავიდნენ მხოლოდ ამ ოპერაციების წარმოებაზე. მაგალითად, ნოტინჰემელმა ვაჭარმა ტომას სმიტმა, რომელმაც 1688 წელს დააარსა ქსოვილებით ვაჭრობის ფირმა, შემდგომში დაიწყო ანაბრების მიღება, მეანაბრეთა ფულადი ანგარიშების წარმოება, სესხების გაცემა, თამასუქების განაღდება და სხვ. ხოლო მისი მემკვიდრეები შევიდნენ ამხანაგობაში ლონდონელ ბანკირ პაინთან, შეწყვიტეს საქონლით ვაჭრობა და დააარსეს საბანკირო სახლი „სმიტი და პაინი". განსაკუთრებით განვითარდა საბანკო საქმე XVIII-XIX საუკუნეების ინგლისში.

განვითარებული კაპიტალიზმის დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ახალი ტიპის საბანკირო სახლები, რომლებიც წარმოადგენენ უმსხვილესი ფინანსური ჯგუფების ცენტრებს. მათი განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ იურიდიულად მათ აქვთ ინდივიდუალური ფირმის ამხანაგობის ფორმა და მონაწილეობის სისტემის მეშვეობით მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი სააქციო კომპანიებთან და ფლობენ აქციების საკონტროლო პაკეტებს. ყოველი მათგანი ფართო მასშტაბით ეწევა ფასიანი ქაღალდების ემისიასა და მათ განთავსებას, მაგალითისათვის წარმოვადგენთ რამდენიმე მათგანს:

„მორგან გარანტი ტრასტ კომპანი" არის აშშ-ს უმსხვილესი კომერციული ბანკი, რომელიც დაფუძნებული იქნა 1860 წ. როგორც მორგანების ფინანსური ცენტრი. ამერიკაში მას აქვს 4 ფილიალი, ხოლო საზღვარგარეთ – 18 განყოფილება და 9 წარმომადგენლობა. მისი საბალანსო თანხა 60 მილიარდ დოლარს აღემატება.

„ჰარიმანი" წარმოადგენს აშშ-ს მონოპოლისტური კაპიტალის ჯგუფს, რომელიც ჩამოყალიბდა XIX საუკუნის დამლევს. მისი გავლენის სფეროებია ბანკები, სადაზღვევო საზოგადოებები, სამთომომპოვებელი და სარკინიგზო კომპანიები. ამ ჯგუფის ფინანსური ცენტრი საბანკირო სახლი „ბრაუნ ბრადერზ, ჰარიმან ენდ კომპანი".

XVIII საუკუნეში საფრანგეთში დაფუძნებული იქნა როტშილდის საბანკირო სახლი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იგი ორ შტოდ გაიყო – ინგლისურ და ფრანგულ შტოებად. ინგლისური შტოს ფინანსური ცენტრია ლონდონის ბანკი „როტშილდ ენდ რანსი", რომლის გავლენის სფეროებია სამთო-მომპოვებელი მონოპოლია სამხრეთ აფრიკაში, ნავთობის მრეწველობა და ფერადი მეტალურგია, ხოლო ფრანგული შტოს ფინანსური ბირთვია, როტშილდის ბანკი, რომლის აქტივების თანხა 80-იანი წლების დამდეგისათვის 400 მილიონ დოლარს აღემატებოდა და ჰოლანდიური კომპანია „სოსიეტე დ ენვესტისმან დიუ ნორ", რომლის აქტივების თანხა 100 მილიონ დოლარს აჭარბებს. მათ წარმომადგენლებს უკავიათ მრავალრიცხოვანი პოსტები სხვადასხვა სააქციო საზოგადოებების სამმართველოებსა და დამკვირვებელთა საბჭოებში.

**ჯემალ ხუბულური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უბრალო საგნების ისტორიიდან

## ქოლგა

ქოლგა დაახლოებით ათასი წლის წინ გამოიგონეს ჩინეთში და თავიდან მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა წვიმასთან, ქოლგას მზისგან თავის დასაცავად ხმარობდნენ.



მაგრამ აი, 1750 წელს ერთ-ერთმა ინგლისელმა ჩინეთიდან ჩამოტანილი ქოლგა წვიმიან ამინდში გაშალა და მთელი ლონდონის ყურადღება მიიქცია. იმ დღიდან მოყოლებული მთელი მსოფლიო ქოლგით იცავს თავს წვიმისგან.

## ჟილეტი

დღეს ჟილეტი ძალიან მოდაშია. იგი ქალსაც აცვია და კაცსაც, დიდსაც და პატარასაც, მას პიჯაკის შიგნითაც იცვამენ და უპიჯაკოდაც. წინათ კი იგი უდიდესი ფუფუნების საგანი ყოფილა. შეიძლება ითქვას, რომ თავის დროზე ჟილეტი უსაზღვრო პატივში იყო – მისი ღირებულება განსაზღვრავდა მაღალი საზოგადოების ბრწყინვალე წარმომადგენელთა ღირსებას.

XVIII საუკუნეში საჭირო იყო ჟილეტების მთელი კოლექცია, რათა არ ჩამორჩენოდი მოდას, რომელიც ერთი სეზონის განმავლობაში რამდენჯერმე იცვლებოდა. ხან მაუდის ჟილეტი იყო მოდაში, ხან აბრეშუმის, ხან ხავერდის, ხან კი ოქროსფერი ფარჩის. მაგრამ მთავარი მაინც ნაქარგები იყო, რომლებსაც ხშირად უდიდესი მხატვრები ასრულებდნენ. ჟილეტზე იქარგებოდა სხვადასხვა სცენები – ნადირობის, კომიკური, პასტორალური, სცენები ლაფონტენის არაკებიდან. ფინანსისტებისა და მდიდარი მემამულეების მკერდზე თავს იწონებდნენ ამურები, აპოლონები, მარსები, ვენერები. გენერლების ჟილეტებზე გამოხატული უნდა ყოფილიყო ცხენოსანთა აღლუმი ან სანგრის იერიშით აღების მომენტები.

ლუი XV კარზე ყველაზე დიდ პატივს იმსახურებდნენ ის დიდებულები, რომელთა ჟილეტებზე მოქარგული იყო სცენები მაშინდელი მოდური ოპერებიდან. ჟილეტის ღილებზე ხატავდნენ იმ დროის ცნობილ ლამაზმანებს, მაგალითად, მეფის საამებლად კარისკაცებს ჟილეტის ღილებზე დახატული ჰქონდათ ლუი XV საყვარლის, მადამ დე პომპადურის პორტრეტი. უფრო ხანშიშესული დიდებულები თავიანთი ჟილეტების ღილებზე აღბეჭდავდნენ ანტიკურ ბიუსტებსა და ღმერთების მეტამორფოზებს.

საფრანგეთში დირექტორიის არსებობის ოთხი წლის მანძილზე მოდა ჟილეტზე რამდენჯერმე შეიცვალა. ბევრი კარისკაცის ჟილეტზე ამოქარგული იყო გილიოტინა და დასჯის სცენები.

## სახაზავი

მიჩნეულია, რომ სახაზავი საფრანგეთის რევოლუციის დროს შემოვიდა ხმარებაში, მაგრამ როგორც ირკვევა, ანტიკური ხანის არქიტექტორები სწორედ საგულდაგულოდ გარანდულ-გაშალაშინებულ პატარ-პატარა ფიცრებს იყენებდნენ ნახაზების შესასრულებლად. ამაზე უძველესი ქალაქის, პომპეის არქეოლოგიური გათხრების დროს მიკვლეული ნიმუშებიც მეტყველებს. შუა საუკუნეებში გერმანელი ბერები პერგამენტის ფურცლებზე ხაზების გასავლებად ტყვიის ფირფიტებს იყენებდნენ, ევროპის რიგ ქვეყნებში კი ამავე მიზნისათვის რკინის წკირებს ხმარობდნენ. ისე რომ დღევანდელ სახაზავს უფრო შორეული წინაპრები ჰყოლია, თუმცა მეტრული დანაყოფებით აღნიშნული სახაზავები მართლაც საფრანგეთის რევოლუციის დროს გაჩნდა. 1789 წელს რევოლუციური ხელისუფლების ხელმძღვანელებმა, აკადემიკოსებს ახალი მეტრული სისტემის შემოღება დაავალეს. სიგრძის ერთეულად პარიზზე გამავალი გეოგრაფიული მერიდიანის მეორმოცედმილიონიანი ნაწილი იქნა მიღებული. ფრანგმა მეცნიერებმა გულდასმით გაზომეს მისი რკალი დიუნკერკიდან ბარსელონამდე, შემდგომ ამისა პარიზში 25 მმ. სიგანისა და 1 მ. სიგრძის ორი პლატინის სახაზავი დაამზადეს. ამ ეტალონს „რესპუბლიკურ მეტრს" უწოდებდნენ.



მეტრულ დანაყოფებიანი ხის სახაზავები ჯერ მხოლოდ აკადემიკოსების განკარგულებაში იყო. მერე ასეთები პარიზელი სტუდენტებისათვის, უწინარეს ყოვლისა კი უმაღლესი პოლიტექნიკური სკოლის მოსწავლეებისათვის დაამზადეს. ჩვეულებრივ სასკოლო კლასებში კი ხის სახაზავი XIX საუკუნის დამდეგს შემოვიდა ხმარებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიცილის გაკვეთილი

* * *

–მამი, ბავშვები საიდან ჩნდებიან?

–წეროს მოჰყავს.

–ეგ რომელს, გრძელი ცხვირი რომ აქვს?

–ჰო.

–სამხრეთში რომ ცხოვრობს?

–ჰო, რა იყო?

–ისე, არაფერი, ერთხელ შემოგვიარა, შენ რომ მივლინებაში იყავი...

* * *

დედამ შვილს ვერცხლის კოვზი მისცა:

–აჰა, ამით ჩაიში შაქარი ჩაიყარე, ვერცხლი მიკრობებს ხოცავს.

–მერე, დახოცილმიკრობებიანი ჩაი უნდა დავლიო?

* * **

მასწავლებელი: – ბავშვებო, თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, რომ დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს.

მოსწავლე: – ეგ კი ვიცით, მაგრამ მაშინ რას შერება ჩვენი პლანეტა, როდესაც მზე ჩადის?

* * *

–ბიჭო, შენ რა, სათვალე ძილის დროსაც გიკეთია?

–აბა, ისე სიზმარს კარგად ვერ დავინახავ.

* * *

–ახლა კი დასხედით და წარმოიდგინეთ, ვითომ ნავში სხედხართ და ნიჩბებს უსვამთ, – უხსნის ფიზკულტურის მასწავლებელი ბავშვებს, – აბა, დავიწყოთ, ერთი-ორი, ერთი-ორი!..

ყველა იწყებს ვარჯიშს, მხოლოდ კარლი ზის უმოძრაოდ.

–კარლ, რაშია საქმე, რატომ გაჩერებულხარ?

–მე, მასწავლებელო, მოტორიან ნავში ვზივარ და ნიჩბები არ მჭირდება!

* * *

–აბა, ვინ მეტყვის, რა ჰქვია ადამიანს, რომელიც გაუთავებლად ლაპარაკობს და მაშინაც კი არ ჩერდება, როდესაც ყურს არავინ უგდებს? – იკითხა მასწავლებელმა კლასში.

–მასწავლებელი! – თითქმის ერთხმად უპასუხეს მოსწავლეებმა.



* * *

თაგვების ოჯახს კატა გამოეკიდა და ყველანი კისრისტეხით გაიქცნენ. უეცრად ოჯახის უფროსი შეჩერდა, ბეწვი აიშალა და ყეფა დაიწყო. კატა დაფრთხა და უკუიქცა.

–ახლა ხომ დარწმუნდით, რომ უცხო ენების ცოდნა აუცილებელია?! – მიუბრუნდა მამა თავის წრუწუნებს.

* * *

–რას გიგავს ნაწერი?! როგორ ჯდაბნი, ასოებიც დაგრეხილია, ზოგი დიდია, ზოგი პატარა. შენხელა რომ ვიყავი, მე უკეთესად ვწერდი, – დატუქსა პიერი მასწავლებელმა.

–ალბათ თქვენ უკეთესი მასწავლებელი გყავდათ, – თავი იმართლა ბიჭმა.

* * *

მასწავლებელი: რომელ ოჯახს ეკუთვნის კატა?

მოსწავლე: თავისი პატრონის ოჯახს.

* * *

–მამი, აქლემები მღერიან?

–აბა, რა სისულელეს მეკითხები, უფრო გონივრულს ვერაფერს მკითხავ?

–კარგი, მაშინ მითხარი, როდის მოკვდა მკვდარი ზღვა?

* * *

–ვერ გამიგია ერთ დღეში ამდენი სისულელის ჩადენა როგორ მოასწარი?

–ძალიან ადრე ავდექი.

* * *

ვუნდერკინდი მოსწავლე სხაპასხუპით პასუხობს რუსული ენის გამოცდაზე. გაოცებული მასწავლებელი აწყვეტინებს:

–რაშია საქმე, შენ რუსულად კი არა, ჩინურად ლაპარაკობ, ამიხსენი ერთი, რა ხდება?

–აუჰ, მაპატიეთ, მასწავლებელო, როგორც ჩანს, წუხელ სიბნელეში თაროდან სხვა სახელმძღვანელო ჩამომიღია.



მომთვინიერებელი: პროფესიით მასწავლებელი ვარ, ცოტა ხანს კიდეც ვიმუშავე სკოლაში, მაგრამ მივხვდი, რომ უფრო ადვილი სამუშაო უნდა მეძებნა.

# ინილო — ჩინილო

## ა ნ დ ა ზ ვ ო რ დ ი



**შვეულად:** 1. ასი ხევი ავიარე, ასი ბუდე ავშალე, ქალსა მძივი ავყარე, კალათაში ჩავყარე. 2. უსულო ვნაზე ორსული, სულიერისა მშობელი, შვილსა შობს, დედა მოკვდება, ვინ არის გამომცნობელი. 3. ყოველ თვისა და თვის თავზე ვარდი ამოდის კლდის თავზე. 6. აკიბული ჩაკიბული, ცის და ქვეყნის მოციქული. 10. წყალში ზის, თევზი არ არის, ბალახს სძოვს, ძროხა არ არის, ღუღუნებს, მტრედი არ არის. 11. ასლამაზი ქალი ვიყავ, ასი კაბა მეცვა, ნიავმა რომ დამიბერა, ასად დამეკეცა. 12. ის ხან დინჯად მიზოზინებს, ხან კი მირბის გამალებით, არც საკუთარ საქმის გამო და არც სხვისი დავალებით. 13. აბელი ბელი, საბელი გრძელი, ბამბის გული უგრეხელი. 15. ერთი რამა სულიერი მიწა-მიწა მძრომელია, კარგი ვაჟკაცისათვის თავსა წამომდგომელია, სამჯერ გითხარ მის სახელი, გამოიცან რომელია.

**თარაზულად:** 3. მოვიდა შავი მოზვერი, წააქცია მთელი სოფელი. 4. მიდის, მოდის, კვალს არ აჩენს. 7. აიმ მთას გადმოწოლია გოროზ-გოროზი გველიო, ჭალაში ჩამოჰხედავდა, იქ არის ჩემი ველიო. 8. ორჯერ შობილი ერთხელ კვდება. 9. ერთი ცხენი მყავს სოსანი, სოსანზე უფრო სოსანი, წავა ისპაჰანს, წყალს დალევს, ისევ შინ მოვა ცოცხალი. 14. შევხედე და შავი იყო, მივედი და მკვდარი იყო, ფეხები რომ დავუჭირე, ნაცოხარი ამოიღო. 16. პატარა ვარ, გამიფრთხილდით, თორემ დიდ ცეცხლს გავაჩენო. 17. მამა არ გაჩენილიყო, შვილი ქალაქს მიდიოდა.

## იპოვეთ განსხვავებები



## ლიტერატურული კროსვორდი



თარაზულ უჯრებში ჩაწერეთ კონსტანტინე გამსახურდიას რომან „მთვარის მოტაცების“ პერსონაჟთა სახელები.

# საქართველოს მომავალი




„მის თბილისი – 2003"
10 წლის
ეკა ოზგაძე



4 წლის
გიკა გოგოლაძე



ნუკა ფურცელაძეს ახლახან შეუსრულდა ათი წელი. ლილი ბებო და ჯემალი ბაბუ ულოცავენ დაბადების დღეს და უსურვებენ ბედნიერებას.



თბილისის 22-ე საშუალო სკოლა, I კლასი, ხელმძღვანელი- ნანა გეგია



2 წლის ტყუპები გვანცა და ლუკა ბურნაძეები

თბილისის 22-ე საშუალო სკოლა, I კლასი, ხელმძღვანელი ინგა ურუშაძე



# ჩვენი გალერეა

-90
672/34



ნათია გაბისონია
თბილისის №106-ე
საშუალო სკოლა,
IX კლასი











ლიზი ბაიდაშვილი
თბილისის მეექვსე
გიმნაზია, III კლასი







მარიამ ქუშაშვილი თბილისის №48-ე საშუალო სკოლა, II კლასი